კვირა, 18 აპრილი. 1910 ფასი ყველგან 10 კაპ.

1910 F22/2295

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაური

№ 1. ყოველკვირეული გაზეთი. № 1.

შინაარსი: „ქრისტე აღსდგა!“, ახალგაზდასი.—მეთაური.—სახელმწიფო დუმა.—საზღვარ-გარეთი.—სალამი, ლექსი გ. ქუჩიშვილისა.—საადგომო მელოდია, ლექსი დ. თურდოსპირელისა.—საადგომო იმედი, ილ. მგელაძისა.—შრომის დღესასწაული.—ეკონომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა.—ის კი..., ლექსი ნ. ზომლეთელისა.—ბრბო, თარგმანი ე. ჭ.-სა.—საადგომოო, ლექსი გ. ქუჩიშვილისა.—სოციალიზმი და ანარქიზმი, რაიხესბერგისა, თარგმანი რუსულიდან.—განცხადებანი.

1910 წლის 18 აპრილიდან ქ. თფილისში გამოდის

საპოლიტიკო, სამეცნიერო ⁊ სალიტერატურო

ყოველკვირეული გაზეთი

„მოგზაური“

მონაწილეობას მიიღებენ: ბ. ახოსპირელი, ბესოშვილი, გრ. გიორგაძე, ნ. ელიავა, ვიქტორი, თურდოსპირელი, პ. ირეთელი, რ. კალაძე, კ. კანდელაკი, ლალიონი, ვ. მალაქიაშვილი, რ. ლეჩხუმელი, ნატო, მ. სხვაველი, გ. ქუჩიშვილი, ყარიბი, ს. შაუმიანი, შვარცი, კ. ჯაფარიძე და სხ.

გაზეთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მან. ერთი თვით—ათი შაური. ცალკე ნომერი **ორი შაური**. ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე რამდენიმე ნომერზე, ორ-ორი შაურის ანგარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

დროებით სოლის მოწერა მიიღება ბ. ჯილაძის სტამბის კანცელარიაში—ვილიამინოვის ქ. სახ. № 6

გაზეთში დასაბეჭდი წერილები და კორესპონდენციები უნდა იყოს დაწერილი სუფთად, უპჭველათ ერთ გვერდზე.

ვრცელი სტატიები შეინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში. დანარჩენებზე რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის ხარჯის წარმოდგენა.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Могзаури“, Соломону Евстафіевичу Телія. (Типог. Киладзе)

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ფ. მგელაძე.

56730

„ქრისტე აღსდგა!“

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, წლითი-წლობით, აურაცხველი ხალხი აღტაცებით წარმოსთქვამს დღევანდელ დღეს ამ დიდებულ სიტყვებს.

დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზდას, მდიდარსა და ღარიბს,—ყველას პირზე აკერია ეს სიტყვები, ყველა იმეორებს მას...

ცხრამეტი საუკუნის წინათ გაისმა ქრისტეს ძლიერი ხმა ურიასტანის ქვეყანაში; ცხრამეტი საუკუნის წინათ აღმართა მან დროშა ძმობისა, ერთობისა, თავისუფლებისა; ცხრამეტი საუკუნის წინათ შეებრძოლა იგი ბოროტებას!

ამიტომაც აცვეს ჯვარს! ამიტომ ჩააწვინეს ბნელ სამარეში!..

მაგრამ ის აღსდგა! მძიმე ლოდმა ვერ დაამაგრა იგი და ქვეყანას კვლავ მოევლინა ქრისტე,—ქრისტე—თავისუფლება, ქრისტე—ერთობა, ქრისტე—ძმობა და სიყვარული...

მტარვალობამ ვერ დაამაგრა საფლავში თავისუფლება; მან ვერ დამარხა ის სამუდამოთ, ვერ გაამეფა ბნელეთი ქვეყნათ...

ქრისტე აღსდგა და განანათლა წყვდიადი! ქრისტე აღსდგა და მოჰფინა ქვეყანას ბრწყინვალე სხივი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა...

და დღეს, როცა ირგვლივ კვლავ ბნელა; დღეს, როცა საკაცობრიო მცნებანი კვლავ დევნილია; როცა თავისუფლებისა და მონობის, ბოროტებისა და სათნოების შორის კვლავ შეურიგებელი ბრძოლა სწარმოებს,—ჩვენ მეტის აღტაცებით, მეტის იმედით და მეტის რწმენით ვიტყვით:

„ქრისტე აღსდგა“, ტანჯულნო და წამებულნო!..

და გიხაროდენ, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, რამეთუ მასთან ერთათ აღსდგა აზრი თავისუფლებისა, აზრი ძმობისა და სიყვარულისა! რამეთუ მასთან ერთათ დაითრგუნა სიბნელე და მტარვალობა! იძლია მონობა, და აღსდგა მკვდრეთით სიმბოლო თავისუფლებისა!..

„ქრისტე აღსდგა“, მზის სხივის მონატრულო არევ, „ქრისტე აღსდგა“, სიბნელით სულ-შეხუთულო ქვეყანავ!!

ახალგაზდა.

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისი, 18 აპრილი.

მეხუთე წელიწადია, რაც რუსეთის იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეზე რეაქცია მძვინვარებს. მეხუთე წელიწადია, რაც მმართველი ბიუროკრატია განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიკვიდაციას ახდენს. არ არის ცხოვრების არც ერთი კუნჭული, სადაც რეაქციას არ მიეწვდინოს თავისი კლანჭები. ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით, დასრულდა ეს უკულმართი წინ სვლა, თუ კიდევ გვიმზადებს ბედი ახალსა და ახალ სიურპრიზებს. ვერ ვიტყვით, რადგან ბევრი მოულოდნელი და ძველის წარმოდგენით შეუძლებელი უბედურება გადაიტანა ხალხმა. ყველას ახსოვს, რომ ამ ხუთი წლის წინეთ ფართო საზოგადოების ლოზუნგი იყო: „ასე ცხოვრება აწი შეუძლებელია!“ და ასეთი დასკვნის შემდეგ ყველა წინ მიისწრაფოდა, ყველას ახალი ცხოვრების დაწყება უნდოდა. ამოძრავდა თვით ხალხი; მშრომელი გლეხობა სოფლათ და მუშა—ქალაქში. მან მკაფიოთ წამოაყენა თავისი მოთხოვნები და შეუდგა კიდეც მათ ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ პირობები შეიცვალა, და დღეს ძველი გამოსვლების მოგონება-ღა დაგვრჩენია. რაც ხუთი წლის წინეთ წარმოუდგენელი იყო, ის უკვე მომხდარი ფაქტია. დღეს ვრწმუნდებით, რომ უარესის-უარესი ყოველთვის შესაძლებელი ყოფილა და, მიუხედავათ მართლაც აუტანელი პირობებისა, ჩვენი გონება ურიგდება უარესის მოლოდინსაც. თუ წინეთ კანონი ირღვეოდა, მისი დამრღვევი იმის ცდაში მაინც იყო, რომ თავისი მოქმედება რითიმე გაემართლებია. დღეს ეს აღარ სჭირდებათ. ნიღაბი ახდილი აქვთ და პირდაპირ არის წამოყენებული საბუთათ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიკვიდაცია, ყველა მისი შენაძენის გაქრობა და განადგურება.

ხალხი კი სდუმს და გარეგნულათ მაინც ემორჩილება თავის ბედს.

პირველი შეხედვით, ასეთი მდგომარეობა სასოწარკვეთილებასაც კი მოგვრის კაცს. მაგრამ ჩვენ ვერ ჩავეთრევინებით ამ სასოწარკვეთილებას. უკვდავი მეცნიერისა არა იყოს, ჩვენ გვწამს, რომ **„მაინც ბრუნავს“** და ვიცით, რომ ცოცხალ ხალხს, ცოცხალ საზოგადოებას უკან სვლა არ შეუძლია. მას თვით ცხოვრების ობიექტიური პირობები ერეკება წინ და მიუხედავათ ამ წინსვლის ტემპისა, მაინც წინ მივდიკართ. ისტორიის უკულმა შებრუნება არავითარ ძალას არ შეუძლია. ისტორიული პირობები კი აუცილებლათ თხოულობენ ცოცხალი საზოგადოებისაგან ძველი კანის გამოცვლას. და რამდენათაც ადამიანის სურვილისაგან დამოუკიდებელია ცხოვრების დედა-ძარღვის, ეკონომიური პირობების განვითარება, იმდენათვე შეუძლებელია ადამიანთა რომელიმე ჯგუფისთვის მისი ზედნაშენის ხელუხლებლათ დაცვა.

მძიმეა ხალხისთვის ეს კანის გამოცვლა, მაგრამ ის აუცილებელია, და ეკონომიური ცხოვრების ახალი პირობებისთვის საჭიროა სათანადო გარეგანი სახელმწიფოებრივი ფორმაც. საცა ასეთი თანხმობა არ არის, იქ ბრძოლა აუცილებელია. კიდევ უფრო მწვავეთ დგება კითხვა იქ, საცა ხალხის არსებითი მოთხოვნები არ �დაკმაყოფილებელი, და რადგან ჩვენში განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ წამოყენებული კითხვები ჯერ კიდევ არ არის პასუხგაცემული და გადაჭრილი,— ვისიმე გამარჯვებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ხალხის გულში ღვივის უკვდავი ცეცხლი წინმსვლელობისა, მისი გული ძგერს უკეთესი მომავალისათვის. გარეგანი პირობებიც მკაფიოთ აყენებს კითხვას და არჩევანიც ადვილია...

სხვა კითხვაა, რა პირობებში და რა გზით იწარმოებს ეს წინსვლა: თანდათანობითი იქნება იგი თუ უფრო მკაცრი ქარტეხილი შეიქნება აუცილებელი. საზოგადოების განვითარების ისტორიამ ორივე გზა იცის. პირველი—ისეთების ხვედრია, სადაც ხალხის სურვილს აქვს კანონიერი გამოსასვლელი გზა, საცა ასეთი მომწიფებული სურვილი კანონათ იქცევა და სრულდება კიდეც. ხოლო საცა ყოველივე ეს უარყოფილია, იქ მეორე გზას ადგება საზოგადოება. რომელს აირჩევს რუსეთის ცხოვრება, ამას მომავალი დაგვანახვებს. საჭიროა მხოლოდ გვახსოვდეს, რომ ბრძოლის ხასიათის განსაზღვრა ერთ მხარეს არ შეუძლია. მისი განმსაზღვრელია ორივე მოპირდაპირეთა იარაღი და ტაქტიკა...

ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ. რომ უიმედობა და სასოწარკვეთილება სრულიათ უადგილოა. და მიუხედავათ გამეფებული რეაქციისა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ხუთი წელიც არ ყოფილა უკან დახევის ხანა. მართალია, ფართო მასსა შემკრთალი და მიყუჩებული იყო, მაგრამ მისი მეთაური და დიდ დღეებში ხელმძღვანელი სოციალური დემოკრატია, დროებით შეფერხების შემდეგ, ისევ ძალას იკრებდა. თუ ის ორგანიზაციულათ დაასუსტა პოლიტიკური პარტიებისა და ყოველგვარ კავშირების დევნამ, სამაგიეროთ მისმა შეგნებამ დიდი ნაბიჯი წადგა წინ და დღეს უმრავლეს შემთხვევაში თვითონ ცდილობს გაუძღვეს საქმეს. ახერხებს კიდეც, რადგან თითქმის ყველა შემოხიზნული და ბედნიერების დროს მიკედლებული გარეშე ელემენტები თანდათან ჩამოშორდენ. ეს კი ისეთი შენაძენია, რომლისთვისაც მსხვერპლის გაღებაც არ არის დასანანებელი.

ამ საქმეში საკმაოთ უწყობს ხელს დემოკრატიას სახელმწიფო დუმის ტრიბუნა, რომლითაც საკმაოთ და ღირსეულათ სარგებლობენ ნამდვილი დემოკრატიის მანდატებით აღჭურვილი მემარცხენე დეპუტატები; მათი თავისუფალი სიტყვა და არსებული რეჟიმის შეუბრალებელი კრიტიკა თვალწინ უყენებს ხალხს დღევანდელ მბრძანებელთა ნამდვილ სახეს და აგონებს უკეთესი მომავალისათვის მზადების აუცილებლობას.

გარდა ამისა, თვით ფართო მასსაშიც დარჩენილია აღფრთოვანების დროს ნაგემები ბედნიერება. დარჩენილია, ძველი კერპების ძლიერების საეჭვობა მაინც და შეთვისებული აქვს თავისი ძლიერების რწმენა. ყოველივე ეს კი ისეთი რამ არის, რომელსაც ვერავითარი რეაქცია ვერ ამოშლის ხალხის წარსულიდან.

მარტო ესეც კმარა უკეთესი მომავლის თავდებათ.

მაგრამ მშრომელი ხალხი არ კმაყოფილდება მარტო

ამით. ის მტკიცეთ შედგომია თავისი განვითარების საქმეს და დიდი ენერგიით ეტანება კულტურულ მოღვაწეობასაც. მას არ აშინებს ამ საქმის გარეგნული სიწვრილმანე, რადგან იცის, რომ ხალხი დიადია პატარა საქმეშიც; იცის, რომ ამ გზით იგი თავს უყრის თავის ძალებს, აღრმავებს და აალმასებს თავის შეგნებას. ასეთი მოღვაწეობა არის მისი მოქმედების ერთი მხარე და აქ ისე, როგორც სხვა სფერაში, ხალხის ყველა გულშემატკივარი ვალდებულია, გვერდში ამოუდგეს მას. ამიტომ, საჭიროა ყოველი კანონიერი შესაძლებლობის გამოყენება და მით იმავე ხალხის შეგნების გაფართოვება. ჩვენც უნდა ვისარგებლოთ შენარჩუნებული უფლებებით, რომ ხალხთან ერთათ, ხალხისავე ძალებით მივუახლოვდეთ მის საბოლოო ბედნიერებას...

სახელმწიფო დუმა.

20 იანვარს დაწყებული სახელმწიფო დუმის სესია შეწყდა 10 აპრილს. ორ თვე-ნახევარზე მეტი მუშაობდა 3 ივნისის დუმა, რომელიც ჩვენში პარლამენტის მაგიერობას ასრულებს, მუშაობდა კვირაში ექვს დღეს, დღეში არა ნაკლებ ექვსი საათისა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მწარე სიმართლე ითქვა მემარცხენე დეპუტატებისაგან, ბევრი ლანძღვა-გინება, ბევრი მუქარა მოისმა „ინოროდცებისა“ და კრამოლნიკების მიმართ მემარჯვენე დეპუტატებისაგან, დაპირებანი ქვეყნის დამშვიდებისა და შემდეგ რეფორმების გატარების შესახებ—მთავრობისა და ხელმძღვანელი ფრაქციებისგან. მაგრამ სამი ივნისის დუმამ ვერ უღალატა თავიდანვე ნაკისრებ როლს: ის ძველებურათ დარჩა სამინისტროს კანცელარიათ, მთავრობის ყურმოჭრილ მონათ და მისი ბრძანების ბრმა აღმასრულებლათ.

მიუხედავათ ამისა, მაინც ღირს, რომ მის ამ ორი თვე-ნახევრის განმავლობაში ნამოქმედარს თვალი გადავავლოთ. საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯა დღეს ისე მიდუნებულია, რომ ამ ვითომდა საკანონმდებლო დაწესებულების მოქმედება ყურადღების ცენტრათ გადაიქცა.

რა გააკეთა დუმამ ამ სესიაში?

დაამტკიცა 1910 წლის ბიუჯეტი, მიიღო კანონპროექტი ადგილობრივ სასამართლოების რეფორმების შესახებ, დაამტკიცა ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცთა კონტიგენტი და კიდევ სხვა კანონპროექტები, რომლებიც დღეს ინტერესს მოკლებული არიან.

ამას გარდა, დუმამ გაარჩია რამდენიმე შეკითხვა, რომელთაგან ყველაზე უფრო საინტერესოა სოც. დემ. ფრაქციის შეკითხვა ძირითადი კანონების 96 მუხლის დარღვევის შესახებ

ამავე სესიის განმავლობაში დუმის თავმჯდომარემ ხომიაკოვმა დაანება თავი თავმჯდომარეობასაც, და, როგორც ამბობენ, ოქტომბრისტთა პარტიასაც. დუმის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ოქტომბრისტების ლიდერი ა. ი. გუჩკოვი.

ოქტომბრისტების ფრაქციამ გადასწყვიტა, არ აირჩიოს ფრაქციის თავმჯდომარე შემოდგომამდე, სანამ დუმის პრეზიდიუმის არჩევნები არ მოხდება. ამით [illegible] ნებულმა თავმჯდომარის ერთმა ამხანაგთაგანმა, [illegible] კომ, რომელიც ფრაქციის ლიდერობას ეპირებოდა, ფრაქცია მიატოვა. ფაქტიური ლიდერობა ოქტომბრისტთა ფრაქციისა ამის გამო ერგო თავმჯდომარის მეორე ამხანაგთაგანს—ფონ-ანრეპს.

ოქტომბრისტთა ფრაქციიდან გაქცეულები იკრიბებიან ნაციონალისტთა ფრაქციაში, რომელიც ცდილობს მოიპოვოს დუმაში ხელმძღვანელი როლი, რაც თანდათან ეცლება ხელიდან ოქტომბრისტებს.

ამნაირათ, პირველი შეხედვით, დუმის მოქმედება არ ყოფილა უნაყოფო, და, მისი შინაგანი ცხოვრება არ ყოფილა ინტერესს მოკლებული, ერთფეროვანი, თუნდა მხედველობაში არ მივიღოთ ის სკანდალები, რომლებიც პურიშკევიჩ-მარკოვების მეოხებით ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა.

ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ბიუჯეტი. ამ სესიაში დუმამ ბიუჯეტის განხილვა წინა წლებთან შედარებით უფრო მალე მოასწრო და თან მოახერხა უდეფიციტო ბიუჯეტის გატარება, რითაც ძლიერ ყოყოჩობენ ოქტომბრისტები.

ბიუჯეტის ადრე განხილვას პრაკტიკული მნიშვნელობა დიდი არა აქვს-რა, რადგან მან ჯერ კიდევ სახელმწიფო საბჭოში უნდა გაიაროს და ეს კი შემოდგომაზე ადრე არ მოხდება.

უდეფიციტოთ ბიუჯეტის გატარება რუსეთის ცხოვრებაში საყურადღებო მოვლენაა. მაგრამ ეს მოვლენა შემთხვევითია და წარმავალი. ფინანსთა მინისტრის პროექტის თანახმათ, შემოსავალი იყო ნაგარაუდევი—2 მილიარდ 545 მილიონ მანეთამდე, ხოლო ხარჯი 2 მილიარდ 630 მილიონ მანეთამდე. ამნაირათ, ხარჯი სჭარბობდა შემოსავალს 80 მილიონზე მეტით. ეს დეფიციტი უნდა დაეფარათ ახალი სესხით. საბიუჯეტო კომისიამ ხარჯი შეამცირა 53 მილიონით, შემოსავალი გაადიდა 33 მილიონით. ამის გამო არამც თუ დეფიციტი აღარ აღმოჩნდა, პირიქით, შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯს 3 მილ. მანეთით. დუმამ ეს უკანასკნელი თანხა აიყვანა 4 მილ. 24 ათას მანეთამდე. ეს თავისთავათ კარგი რამ არის, მაგრამ კითხვა იბადება: დაკმაყოფილა დუმამ ყველაფერი, უმთავრესი კულტურული მოთხოვნილებები მაინც, და მიუხედავათ ამისა სალაროში მაინც დარჩა თავისუფალი თანხა? შესაძლებელი იყო თუ არა იმ ხარჯების შემოკლება, რომელიც საბიუჯეტო კომისიამ მოახდინა? სიდან აღმოაჩინა საბიუჯეტო კომისიამ შემოსავლის ახალი წყაროები, რომლებიც ფინანსთა მინისტრს შეუმჩნევლათ გამორჩა?

რუსეთის ბიუჯეტი თავის თავათაც და სხვა სახელმწიფოთა ბიუჯეტთან შედარებითაც დიდ თანხას წარმოადგენს. ინგლისის ბიუჯეტმა მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ გადააბიჯა 140 მილ. გირვანქა სტერლინგს (1 მილიარდი 300 მილ. მანეთი), რაც რუსეთის ბიუჯეტის ნახევარზე ცოტა მეტს შეადგენს. მაგრამ აქედან იმისი დასკვნა, ვითომ რუსეთი მეტს ხარჯავდეს ინგლისთან შედარებით თავის კულტურულ მოთხოვნილებებზე, დიდი

შეცდომა იქნება. პირიქით, ამ მხრით რუსეთი ინგლისს ვერ შეედრება, და თუ მაინც მისას რუსეთის ბიუჯეტი სჭარბობს, ეს სულ სხვა გარემოებით აიხსნება.

რუსეთში სახელმწიფოს ხელშია მეურნეობის ისეთი დარგები, რომლებსაც ინგლისში კერძო მეურნეები აწარმოებენ, როგორც მაგ., რკინის გზა, მაგარი სასმელებით ვაჭრობა. ყველა ამისგან შემოსავალიც დიდი აქვს ხაზინას, მაგრამ მათზე ხარჯსაც დიდი ადგილი უკავია ბიუჯეტში.

უპირველესი ადგილი ბიუჯეტში უჭირავს იმპერიის დაცვის ხარჯებს, თუმცა, როგორც უკანასკნელმა ომმა დაგვიმტკიცა, თითონ დაცვის საქმე სრულიადაც ვერ არის რიგიან ნიადაგზე დაყენებული. სამხედრო ჩვეულებრივი ხარჯებისთვის 1910 წლის ბიუჯეტში ნავარაუდევია 480 მილიონი მან. (1907 წ. იყო გადადებული 389 მილ. მან.) და არა ჩვეულებრივი ხარჯებისათვის 233 მილ., რაც მთელი ბიუჯეტის ერთ მეოთხედზე მეტს შეადგენს.

ამავე დროს სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯი უდრის 75 მილ., რაც სამხედრო ხარჯების ერთ მეათედზე ცოტა მეტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 1908 წელს იმავე სამინისტროს განკარგულებაში იყო მხოლოდ 45 მილ. მან. ასე, რომ ახლა მოიმატა 30 მილ. ე. ი. 66%. მერე რაზე იხარჯება ეს ზედმეტი ფული? საყოველთაო სწავლის შემოღებაზე? მასწავლებლების ჯამაგირის მომატებაზე? არც ერთზე და არც მეორეზე. გაიხსნა მხოლოდ რამდენიმე მაღალი ტიპის სასწავლებელი იმ მოსაზრებით, რომელსაც სახალხო განათლებასთან ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო. ჯამაგირები მოუმატეს არა მასწავლებლებს, არამედ სახალხო სკოლების ინსპექტორებსა და დირექტორებს,—იმ პირებს, ვისაც ახალთაობის აღზრდის საქმეში პოლიციური ფუნქციები აბარია.

იმპერიის დაცვის საკითხთან ერთად დუმამ ყურადღება მიაპყრო მმართველი ბიუროკრატიის და საზოგადოთ ჩინოვნიკების კეთილდღეობას.

კულტურული მოთხოვნილებები თითქმის უყურადღებოთ არის მიტოვებული. მართალია, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაკლს ამ მხრით დასავლეთ ევროპაში ადგილობრივ თვითმართველობათა ბიუჯეტი ავსებს, მაგრამ აქაც რუსეთი დიდათ ჩამორჩენილია სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. რუსეთის ქალაქების, ეროვნების, საოლოსტო და სოფლის საზოგადოებათა ბიუჯეტი 400 მილ. მან. არ აღემატება, მაშინ როდესაც ინგლისში ქალაქების და ადგილობრივ თვითმართველობათა ბიუჯეტი 170 მილ. გირვანქა სტერლინგამდე (1 მილიარდ ნახევარ მანათზე მეტი) აღწევს, ე. ი. ოთხჯერ მეტია რუსეთისაზე.

მართალია, დუმამ მიაქცია ყურადღება ზოგიერთ კულტურულ მხარესაც, როგორიც არის მიწათ-მოქმედება, მიწათ-მფლობელობის მოწყობის საქმე, მაგრამ აქ მას სრულიადაც არ აინტერესებდა ხალხის კეთილდღეობა. ის ზრუნავდა მემამულე თავად-აზნაურებზე და უკმაყოფილო ელემენტების—გაღატაკებული, უმიწაწყლო გლეხების ცენტრიდან განაპირა ქვეყნებში გადასახლებაზე, რომ ამით დროებით მაინც შეეჩერებინა მათი უკმაყოფილება.

რაც შეეხება სამრეწველო ძალთა განვითარებას, ერის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ვიტყვით მშრომელი მასსის და გაღატაკებულ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ,—ამ მხრით დუმას ხელიც არ გაუნძრევია და არც ფიქრობს ხელის განძრევას: ჯერ დამშვიდდეს საზოგადოება და მერე შევუდგებით მის კეთილდღეობაზე ზრუნვასო, გაიძახის მთავრობასთან ერთად დუმის უმრავლესობა. მაკრამ როგორ ესმით ეს „დამშვიდება“?

ოთხი თვის განმავლობაში ითვალიერებდა საბიუჯეტო კომისია სამინისტროს პროექტს, 13 თებერვლიდან 23 მარტამდე დუმაც არჩევდა ბიუჯეტს. ხარჯი შემოკლეს, შემოსავალს მოუმატეს, მაგრამ ორივეთარ პრინციპიალური განსხვავება სამინისტროს პროექტსა და დუმის მიერ მიღებულ ბიუჯეტს შორის არ არსებობს.

როდესაც ფინანსთა სამინისტრო სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას იმუშავებდა, მისი უმთავრესი მიზანი იყო მმართველი ბიუროკრატიის კეთილდღეობა, და ამისთვის მას დასჭირდა 2 მილიარდ ნახევარ შემოსავალთან ერთად 80 მილ. ახალი სესხი. საბიუჯეტო კომისიამ და მასთან ერთად მესამე დუმის უმრავლესობამ სწორეთ იმავე თვალსაზრისით შეხედეს საქმის მდგომარეობას. მათაც მხოლოდ იმავე ბიუროკრატიის კეთილდღეობაზე იზრუნეს, მაგრამ ამისთვის ახალი სესხი საჭიროთ აღარ მიიჩნიეს. „საყდრის კარი ღია იყოო...“ ისე არ მოგვიდესო, იფიქრეს.

საბიუჯეტო კომისიამ შეამოკლა ხარჯი 53 მილიონით; საზღვაო სამინისტროს უარი უთხრეს ძველი გემების შესაკეთებლათ 13 მილ. მანეთის მიცემაზე. ამით, ცოტა არ იყოს, აწყენინეს მთავრობას, მაგრამ, იმედია, მალე ისევ გადაიფიქრებენ, და ამ უარს ერთი ორათ აუნაზღაურებენ. გზათა სამინისტროს უარი უთხრეს 14 მილიონზე, რომელიც გზების შესაკეთებლათ იყო საჭირო. აშკარაა, ეს შემოკლება დროებითია, რადგან გზების შეკეთება თუ საჭიროა, უნდა შეკეთდეს. და დღეს თუ ეს შემოკლება შესაძლებელია, მალე შეუძლებელი გახდება და მომავალი წლის ბიუჯეტში ეს ხარჯიც აუცილებლათ ამოყოფს თავს.

მაგარი სასმელებით სავაჭრო სმეტა შეამოკლეს $6^1/_2$ მილ. მანეთით. ამითი საბიუჯეტო კომისიამ ანგარიშის და ბუხგალტერიის კარგი ცოდნა გამოიჩინა ფინანსთა სამინისტროს მოხელეებთან შედარებით. ფინანსთა სამინისტრომ სპირტის დასამუშავებელი მასალის ფასი წინა წლების მაზანდაზე იანგარიშა. საბიუჯეტო კომისიამ კი მიიღო მხედველობაში, რომ კარგი მოსავლის გამო მასალების შეძენა ნაკლებ ფასში შეიძლება და ამნაირათ შეამოკლა ხარჯი. ამავე ხასიათისაა სხვა ხარჯების შემოკლებაც.

ეს უკანასკნელი შემოკლებაც დროებითია, რადგან კარგი მოსავალი შემთხვევითი მოვლენაა. მომავალში ეს შემოკლებაც შეუძლებელი იქნება და სხვა ახალი ხარჯებიც ემატება, როგორც მაგ., მოკლე ვადიანი სესხის დასაფარავი ხარჯები (300 მილ.), ამურის რკინის გზის (75—100 მილ.), სახაზინო რკინის გზების ინვენტარის შეკეთება (900 მილ.) და სხვ. ამნაირათ, წრევანდელ უდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიციტო ბიუჯეტს მომავალში დიდ-დეფიციტიანი ბიუჯეტი მოყვება, რის ჩვეულებრივ შემოსავლით დაფარვაც შეუძლებელია.

რაც შეეხება შემოსავალს, ის მთელი თავისი სიმძიმით აწევს მშრომელ მასსას და გლეხკაცობას. საბიუჯეტო კომისიას, იმ 33 მილიონის საშოვნელათ, რომლითაც შემოსავალი გაადიდა, ახალი წყაროების ძებნა არ დასჭირებია. მან, ერთი მხრით, შემოსავალში შეიტანა სახელმწიფო ბანკის ორი წლის მოგება (19 მილ.) ერთი წლის მაგივრათ, რაც შემდეგში, რასაკვირველია, აღარ გამეორდება, მეორე მხრით, ფინანსთა სამინისტროს არა პირდაპირი გადასახადი ეანგარიშნა ნაკლები, საბიუჯეტო კომისიამ აქაც მიიღო მხედველობაში კარგი მოსავალი და შემოსავალი მეტი იანგარიშა.

ამგვარათ, ბიუჯეტის განხილვით დუმამ სავსებით შეასრულა სამინისტროს კანცელარიის როლი.

ბიუჯეტის განხილვის დროს გამოირკვა, რომ მთავრობას უყურადღებოთ დაუტოვებია უმეტეს შემთხვევაში ის სურვილები, რომელიც დუმამ გამოსთქვა შარშან ბიუჯეტის განხილვის დროს. ზოგიერთი სურვილების შესრულებაზე კი, როგორც მაგ. სახელმწიფო კანტროლის რეფორმა, კატეგორიულ აუარს ამბობს. ამ სესიაშიც გამოსთქვა დუმამ რამდენიმე, უმეტეს ნაწილათ, რეაქციონური სურვილი, რომელთაგან ერთს, უეჭველია, შეასრულებს მთავრობა. ეს არის სურვილი—მთელი რიგი ახალი ციხეების აშენების შესახებ.



საზღვარ-გარეთი.

—

გერმანია. გერმანიის ცხოვრებაში დიდი ყურ-ზაური გამოიწვია ბრუსიის დანდტაგში საარჩევნო რეფორმის კანონ-პროექტმა, რომელიც სიმბერიო მთავრობამ წარუდგინა რეიხსტაგს. მუდამ კანონის ფარგლებში ბრძოლას მიჩვეულმა ბრუსიელებმა, ამ შემთხვევაში უღალატეს თავიანთ ჩვეულებას და კანონის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ბროტესტთან ერთათ ნებადაურთველ დემონსტრაციებსაც მიმართეს. ხალხის უმაყოფილებამ მეტათ ფართო ხასიათი მიიღო. კანონპროექტით უმაყოფილონი არიან, მუმარცხენე ელემენტებს გარდა, ზომიერი ელემენტებიც.

ბრუსიის დანდტაგის დეპუტატებს ირჩევენ ეგრეთ წოდებულ სამკალსიანი საარჩევნო წესით. ეს წესი მტკიცეთ დაკავშირებულია სახელმწიფო გადასახადის სისტემასთან, რომელიც ბრუსიაში არის დაკანონებული. ამ სისტემის თანახმათ, ბრუსიის ყოველი მცხოვრები იხდის თავის შემოსავლის განსაზღვრულ ბროცენტს სახელმწიფო გადასახადათ. აბის გარდა, ბრუსიაში არ არსებობს სხვა პირდაპირი გადასახადი: არც სულზე, არც კომლზე, არც მაწაზე და სხვ. გადასახადის ამნაირი სისტემა სხვა სისტემებთან შედარებით უფრო სამართლიანია. რაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს კაცს, მით უფრო მეტ გადასახადს იხდის სახელმწიფოს საჭიროებლოთ. მიუხედავათ ამისა, ამ გადასახადს ბრუსიაში ბევრგვარი ნაკლი აქვს. მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი დავუბრუნდეთ არჩევნებს.

ვთქვათ, რომელიმე საარჩევნო ოლქის მცხოვრებნი იხდიან ეველანი წელიწადში 900 მანეთს სახელმწიფო გადასახადს შემოსავლის კვალობაზე. ამავე ოლქმა კი დანდტაგში უნდა აირჩიოს 15 ამომრჩეველი.

ამ ოლქის ყველა მცხოვრებნი, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ, გაიყოფებიან სამ კლასათ. პირველ კლასში შევლენ ყველა ის მდიდარი პირები, რომელნიც იხდიან მთელი გადასახადის ერთ მესამედს—300 მან. ვთქვათ არის იმ ოლქში ათი კაცი, რომელთაგან თითო იხდის 30 მან. ყველა ამ ათი კაცის გადასახადი შეადგენს 300 მან. ე. ი. მთელი გადასახადის 1 მესამედს. ეს ათი კაციც შეადგენს პირველ კლასს.

მეორე კლასში შედიან შემდეგნი, ვისი გადასახადიც ულრის მთელი გადასახადის აგრეთვე მესამედს. ვთქვათ, არის 50 კაცი, რომლებიც საშუალო რიცხვით იხდიან ექვსს მან.,—რაც შეადგენს 300 მან. ეს 50 კაცი შეადგენს მეორე კლასს.

მესამე კლასს შეადგენენ დანარჩენები, რომლებიც პირველ ორ კლასში არ შედიან.

თვითეულ ამ კლასთაგანს აქვს არჩევნებში თანაბარი უფლება. თუ მაგ., 15 ამომრჩეველია ასარჩევი, რაგორც ჩვენს მაგალითში, მაშინ პირველი კლასი—ე. ი. ათი კაცი აირჩევს 5 ამომრჩეველს, მეორე კლასი—50 კაციც 5, და მესამე კლასიც, ე. ი. ყველა დანარჩენები, აირჩევენ 5.

არჩევნების ამნაირი წესის მეოხებით დღევანდელ ბრუსიის დანდტაგში 443 დეპუტატიდან

კონსერვატორები არიან . . .	152
ელერიკალური ცენტრი . . .	105
ნაციონალ-ლიბერალები . . .	64
თავისუფალი კონსერვატორები . .	60
თავისუფალ-მოაზრენი . . .	37
პოლონელები	15
სოც. დემოკრატები	6
დანიელები	2
უპარტიონი	2

ამავე დროს კი უკანასკნელ არჩევნებზე სოც. დემოკრატებმა მიიღეს 1.816.900 ხმა, ხოლო ყველა კონსერვატორებმა, აგრარიებმა, ანტისემიტებმა და სხვებმა ერთათ მიიღეს 1.559.400 ხმა. ასე რომ, თითო სოც. დემოკრატი ემყრება 302.816 ხმაზე, თითო კონსერვატორი კი 7.355 ხმაზე.

არჩევნების ამნაირი წესი მით უფრო სამართლიან უმაყოფილებას იწვევდა, რომ იგივე ბრუსიელები გერმანიის რეიხსტაგში დეპუტატებს ირჩევენ პირდაპირი, თანაბარი და საყოველთაო კენჭის ყრით.

აი, ამ საარჩევნო წესის რეფორმის კანონ-პროექტი წარუდგინა იმპერიის კანცლერმა გერმანიის რეიხსტაგს და ამ კანონ პროექტმა გამოიწვია ძლიერი ბროტესტი ხალხში. ის ცვლილებები, რომლებიც მთავრობას სურს შეიტანოს დღევანდელი არჩევნების წესში, უფრო დაცინვაა, ვინემ ნამდვილი რეფორმა. მას შეაქვს რამდენიმე წვრილმანი ცვლილება, და ძირითად მხარეებს წესისას უცვლელათ სტოვებს.

ახალი კანონ-პროექტის თანახმათ ისპობა „ამომრჩეველები“, ასე, რომ პირდაპირ დეპუტატები იქნებიან არჩეულნი. შემოღებულია ეგრეთ წოდებული მაქსიმატია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: არსებული წესის თანახმათ კლასების გასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოლების დროს მხედველობაში იყო მიღებული გადასახადის სრული რაოდენობა. კანონ-პროექტი კი უჩვენებს გადასახადის მაქსიმუმს, რომელიც იქნება მხედველობაში მიღებული. გადაწეულ მაქსიმუმზე მეტ გადასახადს კლასების განწილების დროს მნიშვნელობა ადარ ექნება.

ზოგიერთი პირები, რომლებიც გადასახადის რაოდენობის თანახმათ დაბალ კლასში უნდა იდებდენ მონაწილეობას, კანონ-პროექტით იდებენ მონაწილეობას შემდეგ უმაღლეს კლასში—მესამე კლასის მაგივრათ მეორეში და მეორეს მაგივრათ პირველში. ამ პირთა რიცხვს ეკუთვნიან რეესტრაგის წევრები, უმაღლეს სწავლა დამთავრებულნი და სხვანი.

ამას გარდა, კანონ-პროექტის თანახმათ გენჭის ერა უნდა იყოს დია და არა ფარული, რაც მემამულეებს საშვალებას აძლევს,—გავლენა იქონიონ არჩევნებზე.

იმპერიის კანცლერი დიდი რიხით იცავდა ამ კანონ-პროექტს.—მდიდრები—ეს ის რჩეული ნაწილია საზოგადოებისო,—წარბ-შეუხრელათ ამბობდა კანცლერი,—რომლის ხელში უნდა იყოს მმართველობა და სქმის ხელმძღვანელობაო. თანასწორობა კი კულტურის დასამარებას მოასწავებსო.

სოც. დემოკრატები და მათთან ერთათ მთელი მუშათა კლასი თხოულობდა საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ საარჩევნო წესის შემოღებას. ამისთვის მიმართეს სოც. დემ. ნებადაურთველ დემონსტრაციებს. ამ დემონსტრაციებით მთ მიადწიეს მას, რომ მთავრობამ ქედი მოიხარა მათი ძალის წინაშე და დემონსტრაციებს და მიტინგებს ადარ უგრძალავენ.

საარჩევნო რეფორმის ბედ-იღბალი ჯერ კიდევ არაა გადაწეტილი.

სალამი!

—

სალამი! ჩვენი სალამი
სწორ-მეგობარნო სულისა,
და თანაგრძნობა, მკითხველნო,
მხურვალე, თქვენი გულისა!

—

შემოკრბით, სიმხნით სავსენო
ბრწყინვალე მომავალითა!
შემოკრბით, წინ, წინ გავსწიოთ
ახალის ძალთა-ძალითა!

გ. ქუჩიშვილი.

საღდგომო მელოდია.

—

მზე ამობრწყინდა
ლაჟვარდსა ცაზე
და სხივთა ჯიდა
მთების მწვერვალზე
შარავანდედით გადახურა.
ცამ გადიყარა
ღრუბელთა ჯარი
და თეთრ-ბრწყვიალა
თვისი ნამ-ცვარი
არე-მიდამოს უხვათ აპკურა.
გაჭქრა ქვეყნათა
დამის ახრდილი,
მთა მინდორ-ბართა
ადრიან ძილი
დაიფრთხეს და მსწრაფლ აშალეს თექა.
ნაკადმა, ბორდით
გადმომჩქეფარემ,
მზის სხივთა კონით
სპეკულ ელვარემ
ბალს ჩაურბინა და ააფეთქა.
კუდრაჭ მერცხალმა
გაშალა ფრთები,
ისრისებრ მალმა
ვარდის ბუჩქები
დასტოვა, ცაში შეისრიალა.
დამატებობელი
თვისი ჭანგები,
შვება-სინაზის
ისარ-ნაგები
არეს სასმენლათ ჩაწკრიალა:
ტანჯვისა შვილო—
ხალხო— ი ხარე!
ტრემლი შვებისა
უხვათ დადგარე,
ნეტარებისა წუთი დადგმაო.
გოლგოთაზედა
ჯვარზე კაკრული,
განთიადზედა
სხივით შემკული
იესო ქრისტე, მკვდრეთით ადსდგაო!

დ. თურდოსპირელი.

საღდგომო იმედი.

(გურიის ცხოვრებიდან)

მეტათ გახარებული იყო ეფრემი. ჰქონდა კიდეც საბუთი მხიარულობისა! ორი-სამი საათის უკან მან მიიღო ქალაქიდან მისი შვილის წერილი. შვილი ატყობინებდა მეტათ სასიამოვნო ამბავს: სამუშაო ვიშოვნე, თვეში 20 მანეთი მაქვს დანიშნული და საღდგომოთ კიდეც გამოგიგზავნი რამდენიმე მანეთსო. და ეს იმ დროს, როცა აღდგომა უკვე კარზე იყო მომდგარი, ეფრემს კი ერთი გროშიც არ მოეპოვებოდა. მერე რა მოუთმენლათ ელოდენ ეფრემის ბავშვები აღდგომას! პატარა, ხუთი წლის შალიკო, ვინ იცის, დღეში რამდენჯერ კითხავდა ხოლმე თავის უფროს დას, როდის მოვიდოდა აღდგომა. ცხადია, შალიკო ბევრ რამეს მოელოდა ამ დღეს. და სწორეთ ეს უკლავდა გულს ეფრემს: მან იცოდა თავის ჯიბის ამბავი.

მაგრამ ეხლა ეფრემის საქმე გაჩარხული იყო. ვასო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ცოტა, ხუთ მანეთს მაინც გამოგზავნიდა, და ამ ფულით სანოვაგის გარდაც შეეძლო მას რამეები ეყიდნა და მით შვილების გული გეხარებინა.

ეს ამბავი აღტაცებით აცნობა ეფრემმა შვილებს. რაღა ლაპარაკი უნდა, მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ბავშვებმა გააბეს მხიარული ლაპარაკი. ინაწილებდენ საღდგომო პასკას, კვერცხებს და სხ. შალიკომ მაინც იმდენი იტიკტიკა, რომ ბოლოს ერთ თავის დასთან ჩხუბიც მოუვიდა: არ იქნა, ვერ მორიგდენ კვერცხების გაყოფაში...

დიახ, ხუმრობა საქმე არ იყო ეფრემისთვის შვილის წერილი. ჯერ ერთი, ვასო ორი წელიწადია, ქალაქში უსაქმოთ დაეხეტებოდა. მეორეც, რა უნდა ექნა საღდგომოთ? მართალია, მას ეყოფოდა ორიოდე მანეთი, მაგრამ სად იყო ან ის? აუარებელმა გადასახადებმა ფულის ყოველგვარი წყარო გამოაცალეს მას ხელიდან.

ეხლა კი ეფრემი დამშვიდებული იყო. მას სრული იმედი ქონდა, რომ შვილი ფულს გამოუგზავნიდა. ან კი რატომაც არ უნდა ქონოდა? ვასო ხომ ადგილში იყო?!

* * *

აღდგომას ოთხი დღე აკლდა. მაგრამ ეფრემს ფული ჯერ კიდევ არ ქონდა მიღებული. ეს გარემოება მას ძალიან აწუხებდა. ის ყოველ დღე დადიოდა სოფლის დუქანზე, სადაც უნდა მოეტანათ ფულის მისაღები უწყება. და როცა წერილების მომტანი მისას არაფერს მოიტანდა, მას გული უკვდებოდა და თავ-ბედს იწყევლიდა.

გათენდა წითელი პარასკევი. ფული კი მაინც არა სჩანს. მარა თუ დღეს ეფრემმა კიდევ არაფერი მიიღო, ცუდათაა მისი საქმე. რაღა ქნას მაშინ? ვის მიმართოს? რა უყოს თვალცრემლიან ბავშვებს? რა უთხრას შალიკოს, პატარა შალიკოს?

აქ ეფრემს მოაგონდა სიყმაწვილე, მოაგონდა, თუ როგორ შეხაროდა ის დღესასწაულს, წარმოიდგინა, თუ რას ფიქრობდა პატარა შალიკო, რას ფიქრობდენ დანარჩენი ბავშვები! წარმოუდგა ყველა ეს თვალწინ, გულზე ცეცხლი მოეკიდა და კბილის ღრჭიალით ჩაილაპარაკა:

— ღმერთო! რეიზა გამაჩინე ასე უბედური, რეიზა??

მზე კი, ის იყო, ამოიწვერა და ეფრემის ეზოში ამაყათ მდგომ ხის მწვერვალებზე ნამისაგან დასველებული ფოთლები ააბრჭყვიალა.

ეფრემი ხის კუნძზე იჯდა და კვლავ მწარე ფიქრებში იყო გართული. მიდამოს სიკეკლუცე მას ვერ ხიბლავდა, შემკული ბუნება, გაზაფხულის სურნელება და ფრინველთა წარმტაცი ჟრიამული მის ყურადღებას ვერ იპყრობდა...

შუადღისას ეფრემი უკვე სოფლის დუქანზე იყო და ფულის მისაღებ უწყებას ელოდებოდა.

— თუ მევიდა ფული, ხვალ დილაზე გევიქცევი ფოშტაში და იქვე ვიყიდი ყორიფელს. უფრო იეფათ მომცემენ. შალიკოს ყვითელ წუღას ვუყიდი, ანეტას... მარა რომ არ მოვიდეს?

ეს ის უცებ გაუელვა ეფრემს თავში და ისეთნაირათ უკბინა რაღაცამ გულზე, რომ საშინლათ მოიჭმუხნა სახე და თავი მწარეთ ჩაჰკიდა.

— რას ფიქროფ, ეფრემავ! ნუ გეშინია, „ბარაქა-რახოდები“ მშვიდობით დაბრუნდებიან სტამბოლიდან. კაი ამინდია და არ დეიღუპება.—მხიარულათ ჩასძახა ეფრემს ერთმა ახალგაზდა კაცმა და იქვე გვერდით მიუჯდა.

— ნეტაი შენ, ჩემო სიმონ, ასე მხიარულათ რომ ხარ!—ნაღვლიანათ უპასუხა ეფრემმა და თავი ხელ-ახლა ჩაკიდა.

— ეჰ, ჩემო ძმაო! ტირილს რა გაუკეთებია ქვეყანაზე?! აფერი... ისევლე, სანამდი პირში სული გვიდგია, ვიცინოთ და ვიმხიარულოთ. გვცივა—ვიმღეროთ, გვშია —ვიცინოთ, გვცემენ—ლეკური ჩამოუაროთ!.. მაინც ასე გვიბრძანებენ, ქენითო... თვარა, ჩვენ გვშიოდეს და ჩვენვე ვტიროდეთ, ხომ მთლათ დეევიღუპეთ? არა, ვიცინოთ, ძამია, ვიცინოთ, და ამით მაინც მოუკლათ მტერს გული.

ეფრემს არც კი გაუგონია ხეირიანათ მისი ნალაპარაკევი. მას ერთი წუთითაც არ შორდებოდა თავიდან საშინელი ფიქრი: --რა ქნას, რომ არაფერი მოუვიდეს?..

როგორც იქნა, ელირსა მოსვა წერილების მომტანს. მის დანახვაზე ეფრემს უნებლიეთ გული თითქმის შეუღონდა, მუხლები მოეკეცა. მან გაუბედავათ მიმართა ახალგაზდა ყმაწვილს:

— ვარლამ, ჩემი აფერია?

— აფერი, შენი ჭირიმე!—უპასუხა ყმაწვილმა ისე, რომ ეფრემისთვის არც კი შეუხედავს. ეფრემს მეხი დაეცა. მას ენა ჩაუვარდა. რამდენიმე წუთს გაქვავებულივით იყო, მაგრამ შემდეგ გამოერკვა და, თითქო არ გაუგონია, რაც უთხრესო, ხელმეორეთ ჰკითხა ყმაწვილს გაფითრებულმა:

— მართლა აფერია კაცო?

— ვაი! გითხარი მგონია ერთი გზობა. არაა, არა!— გულმოსულათ უპასუხა ყმაწვილმა და განშორდა.

ეხლა კი აერია ეფრემს დავთარი. რაღა ქნას? ვინ უშველის? რამდენიმე ხანს ის უძრავათ იყო ერთ ალაგას, მაგრამ მერე დაიძრა და ნელა გაუყვა შინისკენ გზას.

მიდის, მაგრამ რა უნდა შინ? რას ეტყვის პატარა შალიკოს? ხომ ველარ შეპირდება, ხვალ მოვიტან პასკას და წუღებსო?

კარგა ხანს მიდიოდა ეფრემი ასე გონება არეული. მარა ის უცებ დაბრუნდა უკან და შევიდა დუქანში. იქ აუარებელი ხალხი ირეოდა. მედუქნეს გახურებული ვაჭრობა ქონდა. ეფრემი გაჩერდა. რამდენიმე ხანს უხმოთ იყო, მერე კი მივიდა მედუქნესთან და წყნარათ უთხრა:

— ელიზბარ! საქმე მაქ ერთი შენთან.

— ეხლავე გენაცვალე! -- უპასუხა მედუქნემ.

ისინი გავიდენ ცალკე ოთახში.

— ელიზბარ!—დაიწყო ეფრემმა ათრთოლებული ხმით. —მიშველო უნდა რამე. ქალაქიდან ფულს ველოდი. ა, წერილი აგერ მაქ. ერთი კვირეა ვუცდი, მარა არ გამოჩითა. ხვალე თუ არა, გადაღმა კვირეში მაინც მომივა და მანამდი მიშველე რამე, შენი ჭირიმე; ობოლი ბაღნების პატრონი ვარ. იგენიზა დედა არაა და მომვლელი... მუდამ გაჭივრებული არიან... აღდგომას ღმერთსავით მოელიან... შენც კი გამოგეცდება ბაღნის გული... ხელში ახლა ერთი კაპეიკი არ მაქ... მიქენი კაცობა, მენდეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მანათის საქონელი. თუ გაწყლება ღმერთი და აფერი მომივა, მაშვინ სიმინდს მოგიტან... ოღონ ახლა ნუ დამკლავ შენი ხელით, ნუ დამიხოცავ ბაღნებს ამ საღდგომოთ!—დაათავა ეფრემმა და მუდარით სავსე თვალები მედუქნეს მიაშტერა.

მედუქნე კი ეფრემის სიტყვებს არ ისმენდა მაინც და მაინც გულმოდგინებით, და როცა ის მორჩა ლაპარაკს, ნელა უპასუხა:

— რა ვქნა, ჩემო ძმაო! კი მეცოდვები, მარა არ შემიძლია მოცემა. მე და ჩემ ამხანაგს პირობა გვაქ შეკრული, რომ არავის მივცეთ ნისია.

— მაშ, დევიღუპე, არა?

— რა ვქნა გენაცვალე! ასეა ჩემი საქმე და რა ვუყო... ისესხე სადმე მეზობლებში... რავა ვერ იშოვნი, შე კაცო, ერთ მანეთს!..

ეფრემმა მწარეთ გააქნია თავი და წასვლა დააპირა.

— მეიცა. იცი რას გეტყვი? თუ შენ ხვალე ფოშტის უწყება მოგივა, მომიტანე მე და მგონია მუახერხეფ მოცემას. დევიყოლიეფ რამე ნაირათ ჩემ ამხანაგს. კარგი?

ეფრემმა თანხმობის ნიშნათ თავი დაუქნია და განშორდა...

ცოცხალ მკვდარი მივიდა ის სახლში. კაცის ფერი არ ედო. ბავშვებმა შენიშნეს ესა და ვერაფრის კითხვა ვერ გაუბედეს. ეფრემი კარგა ხანს იჯდა კერასთან ღრმათ ჩაფიქრებული, შემდეგ კი, ვახშამიც არ უჭამია, ისე დაწვა დასაძინებლათ.

— დაია!—მიმართა შალიკომ თავის უფროს დას.— რეიზა არ მეიტანა ბაბამ პასკა და წუღები? ზეგე არ არის აღდომა? ბაბამ მეიტყუა! ფინთია ბაბაი, ფინთი!—ნაღვლიანათ ჩაიბურტყუნა შალიკომ. მას ეგონა, რომ ეფრემმა დაიძინა.

ქალს ამის გაგონებაზე ცრემლები მოადგა თვალებში; შალიკო გულში მაგრათ ჩაიკრა, თვალცრემლიანმა ჩაკოცნა და დასამშვიდებლათ უთხრა:

— ხვალე, შენი ჭირიმე, ხვალე ვერ მოასწრობს, თუ?

შალიკოს სიტყვები ეფრემმა კარგათ გაიგონა. მას არ ეძინა...

* * *

მეორე დღეს ეფრემი გათენებამდე წავიდა სახლიდან. სადილობამდე რამდენიმე კაცს მიმართა ფულისთვის, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ნაშუადღევს კვლავ ჩავიდა დუქანზე და იწყო ლოდინი. ეს იყო უკანასკნელი იმედი.

რაღაც მიზეზის გამო წერილების მომტანს ძალიან დააგვიანდა. მზე უკვე გადახრილი იყო, როცა ის მოვიდა. მოსვლისთანავე მას გარს შემოეხვიენ. ზოგი წერილს ღებულობდა, ზოგი გაზეთს, ზოგი მისალოც ბარათებს.

— ჰა, ეფრემ, შენი წერილი!—დაიძახა ყმაწვილმა და წერილი მიაწოდა.

— წერილი... მეტი არაფერია?—იკითხა ეფრემმა.

— კი, რავა არა, ასი მანათი გამოუტანებიათ, მაგრამ ვერ უზიდავს. ხვალე მოგიტანს უეჭველათ.—იოხუნჯა ხალხიდან ვიღაცამ.

ეფრემმა ბრაზით გადახედა დამცინავს.

— ეგება წერილშია ფული?—გაიფიქრა მან, თუმცა თვითონაც არ სჯეროდა თავის თავის. ის მოშორდა იქაურობას და მთლათ აცახცახებულმა გახსნა კონვერტი. შიგ იყო ცალ გვერდზე დაწერილი მისი შვილის წერილი:

„მამაჩემო! ჩემი საქმე გლახათ წევიდა. ხომ გაგიგონია, „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“? ამას წინაზე აქ ვიღაცა მოკლეს. ჩხრეკის დროს ქუჩაში შემთხვევით უპასპორტოთ მოვხდი, დამიჭირეს და ორი დღე გამაჩერეს. როცა გამევედი, ხაზინმა აღარ მიმიღო: „ბუნტოვჩიკები“ არ მჭირიაო. ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ მართალი ვიყავი... მომცა ანგარიში. მერგებოდა ცხრა მანათი. სამი მანათი ჯარიმა გამომიქვითა და ექვსი მანათი წამომიგდო. ამით ვალები გავისტუმრე და მე აღარაფერი დამრჩა. ასეა დღეს ჩემი საქმე და მომავალში რა იქნება, ვინ იცის“!..

რაღა ქნას ახლა ეფრემმა? ხომ გაუცრუვდა მთლათ იმედი? ხვალ გათენდება აღდგომა. ყველგან მხიარულება და ლხინი იქნება. ყველასი ბავშვები ლამაზათ გამოწყობილი ერთმანეთს „ქრისტე აღსდგა“-ს მიულოცავენ. ამავე დროს—მისას არაფერი არ იქნება. მისი ბავშვები თვალ ცრემლიანი იქნებიან. შალიკო ფეხშიშველა, დაღვრემილი უნდა შეექცეს ჩვეულებრივათ ცივ მჭადს... მერე, იქნებ ვინმე სტუმარი მოვიდეს. მაშინ რაღა ქნას? ხომ მოეჭრა თავი? აღდგომას სტუმარს პატივი ვერ სცეს!.. არა! ეს კი შეუძლებელია, ამას ვერ გაუძლებს ეფრემის გული! მას თავიდანვე იცნობენ, როგორც პურ-მარილის კაცს. მარა ახლა რა ქნას, რა უშველის?.. ის უძლურია!.. აქ კი ეფრემს გული მოუვიდა ვასოზეც. რათ მოსწერა, ფულს გამოგიგზავნიო? მისი იმედი რომ არ ქონოდა, ეფრემ ხომ ქვას გახეთქდა და რაღაცას მოახერხებდა? ახლა კი უკვე გვიანია! ყველა მზათ არის სახვალიოთ...

მზე უკვე ჩასული იყო, როცა ეფრემი სახლში მივიდა. შალიკო ქოხის წინ იდგა. როცა ეფრემი მიახლოვდა, შალიკომ დაკვირვებით ჩაათვალიერა ეფრემი, მაგრამ ხელში ვერაფერი დაუნახა. ის მიხვდა, რომ მამას არაფერი მოუტანია. მან საჩქაროთ იბრუნა პირი, შევარდა ქოხში და ჩუმი, მაგრამ გულის მომშხამველი ტირილი დაიწყო.

ამის გაგონებაზე ეფრემს ყელში სწვდა რაღაც და კინაღამ თვალთ დაუბნელდა. ქოხიდან უკვე გარკვევით მოისმოდა შალიკოს ტირილი... იქვე, კედელთან ატუზულიყვენ კონკებში გამოხვეული დანარჩენი ბავშვები და დაღვრემილი, უაზროთ გამოიყურებოდენ... ბავშვებმა დაკარგეს ძვირფასი რამ. აღდგომა მათთვის აღარ თენდებოდა. ცარიელ დღეს მათთვის არაფერი მნიშვნელობა არ ქონდა...

ეფრემმა ვერ გაუძლო ამ სანახაობას. ის აგერ 50 წლის კაცია. ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება გამოუცდია, ხშირათ სიკვდილის წინაშე ყოფილა და წარბიც არ შეუხრია, მაგრამ ამ წუთას ამ, ერთი შეხედვით, უბრალო შემთხვევამ მას გონება ერთიან აღრია. შალიკოს გულსაკლავმა ტირილმა, დანარჩენ ბავშვების მოწყენილმა, მგლოვიარე სახემ ის მოწამლა, მოადუნა და... მის თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს ორი ობოლი ცრემლი მოსწყდა. ის მოშორდა სახლს, ჩაჯდა ხის ძირას და გულმოკლული, სულ და გულ არეული გაეხვია ფიქრების შავ, დაუსრულებელ ბურუსში... ის არ ოცნებობდა. არა, ის ფიქრობდა თავის უბედურებაზე, ის ცდილობდა მის გარკვევას...

მოწმენდილ ცაზე ამაყათ ამოცურებულიყო ბადრი მთვარე და მხიარულების მორევში შესაცურავათ მოზადებულ ქვეყანას დიადათ თავს დადგომოდა; ცელქი ნიავი ნაზათ ჰქროდა არეში და კეკლუცი გაზაფხულის ჰარმონიას ირვვლივ აპნევდა...

იქ, ქოხში კი შალიკო კვლავ გულ-ამოსკვნილი ტიროდა, დანარჩენი ბავშვები კვლავ დაფიქრებულ-დამძარებული ისხდენ კერასთან და... ვინ იცის, თუ რას ფიქრობდენ!..

ილ. მგელაძე.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.

(ისტორიული ცნობა)

დღევანდელი დღე, რომელიც ყველა ქრისტიანეთა ცხოვრებაში ითვლება ბრწყინვალე დღეთ თავისი ისტორიულ-რელიგიოზური მნიშვნელობით, — არა ნაკლებ ბრწყინვალე და დიადია განათლებულ ქვეყნების მუშათა კლასისთვის, თავისი სოციალური მნიშვნელობით. დღეს 18 აპრ. განათლებულ ქვეყნების მუშათა კლასი დღესასწაულობს თავის საკუთარ დღესასწაულს—პირველ მაისს; დღევანდელ დღეს აღნიშნული ქვეყნის მუშები დღესასწაულის ნიშნათ სტოვებენ სამუშაო დაზგას და ისვენებენ.

ამ დღესასწაულის წარმოშობის ისტორია მოკლეთ ასეთია:

აუტანელმა მდგომარეობამ, რომელშიც ჩაყენებული იყო ევროპის მუშათა კლასი კაპიტალისტური წარმოების მიერ, მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში დაბადა მათში აზრი, შეედგინათ საერთაშორისო კავშირი, ვინაიდან ყველა ეროვნების მუშის ინტერესი ერთნაირია. ამ გარემოებას დიდათ შეუწყო ხელი კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიერ შედგენილმა კომუნისტურმა მანიფესტმა, რომლის უკანასკნელი სიტყვები,—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“—გახდა მას შემდეგ მუშათა კლასის შემაკავშირებელ ლოზუნგათ. და მართლაც, ინგლისსა და საფრანგეთში გაძლიერებული აგიტაციის წყალობით, 1864 წ. 28 სექტემბერს ლონდონში მიტინგზე გადაწყდა ინტერნაციონალურ მუშათა ასოციაციის (კავშირის) დაარსება. ასოციაციის პირველი კონგრესი შეიკრიბა 1866 წ. 9 სექტემბერს ქ. ჟენევაში, სადაც დამტკიცებული იქნა კ. მარქსის მიერ შემუშავებული ასოციაციის წესდება. კონგრესს დაესწრო 60 დელეგატი. ამის შემდეგ კონგრესები პერიოდულათ იკრიბებოდა. და აი, 1889 წ. ივლისში, პარიზის კონგრესზე ჩვენ ვხედავთ უკვე 395 დელეგატს ყველა დიდი სახელმწიფოებიდან.

ამ კონგრესზე იქნა დადგენილი პირველი მაისის მუშათა დღესასწაულათ აღიარება და მისი უქმობა. კონგრესმა მიიღო ასეთი რეზოლიუცია:

განსაზღვრულ დროს ეწყობა ინტერნაციონალური მანიფესტაცია ისე, რომ ყველა ქვეყნის მუშებმა ერთ და იმავე დროს წარუდგინონ ქვეყნის მმართველთ მოთხოვნილება 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისა და ინტერნაციონალური კონგრესის სხვა დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანათ.

ღებულობს რა მხედველობაში, რომ ასეთი მანიფესტაცია უკვე იყო დანიშნული ამერიკელ მუშათა კავშირის მიერ 1888 წ. 1890 წლის 1 მაისისათვის, კონგრესი ირჩევს კიდეც ამ დღეს ინტერნაციონალური მანიფესტაციისთვის.

სხვა და სხვა ქვეყნის მუშებმა ეს მანიფესტაცია უნუნდა ჩაატარონ იმ სახით, როგორის ნებასაც იძლევა ადგილობრივი პირობები.

1891 წ. მომხდარ ბრიუსელის ინტერნაციონალურ კონგრესზე დამტკიცებულ იქნა პარიზის კონგრესის რეზოლიუცია. ბრიუსელის კონგრესმა დასძინა, რომ პირველი მაისი ითვლება ყველა ქვეყნის მუშების დღესასწაულათ და ამ დღეს მუშებმა უნდა შეამოწმონ თავიანთი სოლიდარობა და მოთხოვნილებათა ერთიანობაო.

ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲝᲑᲐ.

(შესავალი).

თანამედროვე ცხოვრების მკვლევარს პირველი, რაც თვალში მოხვდება, ეს ის საშინელი უფსკრულია, რომელიც არსებობს საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილთა შორის. მიუხედავათ იმ ჰუმანიური აზრებისა, რომელიც ნაანდერძევი გვაქვს ჩვენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლებისაგან, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ქადაგებდენ სიყვარულს, სათნოებას, თავგანწირვას და სხვა ამისთანა სულიერ ღირსებებს, ეს უფსკრული მაინც თან და თან განიერდება და ღრმავდება; ცხოვრების მამოძრავებელ ძარღვათ მაინც იგივე ეგოიზმი, პირადი და მახლობელთა ბედნიერება რჩება.

ამგვარათ, ქრისტიანობის ძირითადი მცნება „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“—კაცობრიობამ მეტათ ტლანქათ გამოიყენა. თანამედროვე კულტურულ ადამიანისათვის „მოყვასი“ ეს მისი სახლ-კარი, მისი ცოლი და შვილია; კაცობრიობა მისთვის „სხვა“ არის და ამიტომ მისი ბედ-იღბალი მას არ აღელვებს.

კაპიტალიზმმა თითქმის სულ დაანგრია ეროვნული ზღუდეები და მის ნანგრევებზე ახალი საზოგადოებრივი დაყოფილება—კლასები აღმოაცენა; და აი, ჩვენ ვხედავთ ეხლა, რომ როცა კაპიტალისტი თავის კლასიურ ინტერესებისათვის იბრძვის თავის ერთმორწმუნე და ერთ სისხლხორც თანამემამულე მუშების წინააღმდეგ, ამ დროს სიამოვნებით ხელს უწვდის სხვა ეროვნების კაპიტალისტს, თუნდაც ეს უკანასკნელი მის სამშობლოს მოსისხლე მტერ ეროვნებას ეკუთნოდეს. ასევე იქცევიან მუშებიც.

კლასიური სოლიდარობა! აი ლოზუნგი ამ საუკუნისა, აი ლოზუნგი, შემმუსრავი ეროვნული ზღუდეებისა!

დიდი ხანია აღიარებული და დამტკიცებული, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსული საუკუნეების ისტორია, ეს კლასთა ბრძოლის ისტორიაა. მაგრამ ეს ბრძოლა არასოდეს არ მისულა იმ უაღრეს წერტილამდე, კლასთა გათიშვა არასოდეს არ ყოფილა ისეთი მწვავე და საგრძნობი, როგორც ეს იყო XIX საუკ. გასულს და არის XX საუკუნის დასაწყისში. ავიღოთ თუნდ ნატურალური მეურნეობის ხანა. აქ მეურნე თავის მუშისგან ბევრათ არ განსხვავდებოდა და ამიტომ ამ ორ მოპირდაპირე ბანაკს უფრო შეეძლო ერთმანეთის გაჭირვების გაგება, უფრო შეიძლებოდა ისინი ერთმანეთს პატივისცემით მოპყრობოდენ. საშუალო საუკუნის ფეოდალი, რომელიც გლეხს სანადირო ძაღლში სცვლიდა, ისიც კი ისევე სადათ ცხოვრობდა, როგორც გლეხი, ისეთსავე უბრალო ტანისამოსს იცვამდა, როგორც გლეხი! ეხლა ავიღოთ საშუალო საუკუნის ხელოსანი და მისი ქარგლები: ორნივ ერთათ უსხედან სამუშაო დაზგას, ორნივ ერთათ ქმნიან ღირებულებას. ასეთ პირობებში ხელოსანსა და ქარგალს შორის არ შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო ისეთი მძულვარება, როგორიც დღეს არის კაპიტალისტთა და მუშათა შორის. დღეს კაპიტალისტი უშრომლათ ქმნის თავის სიმდიდრეს, დღეს კაპიტალისტი ხშირათ არც კი სცხოვრობს იმ სახელმწიფოში, სადაც მისი ქარხანა-ზავოდებია. დღეს კაპიტალისტი ხშირათ თვალითაც კი არ ხედავს იმ მუშებს, ვისი შრომის ზედმეტ ღირებულებასაც ისაკუთრებს. კაპიტალისტს ინუნშიაც არ მოსდის მათი გაჭირვება, ვინც მის სიმდიდრეს ქმნის, ვისი შრომითაც ის ცხოვრების ყოველგვარ ფუფუნება-განცხრომას განიცდის.

ადამიანი ყოველთვის სხვის ტანჯვას მაშინ უფრო იგრძნობს, როცა თვალით ხედავს; თუ გესმის სხვისი კვნესა, მასთან ახლო ხარ,—მისი მწუხარება უფრო გულს გხვდება. შორს მყოფი კი ეგრე ვერ იგრძნობს. კაპიტალიზმმა პატრონი სამუშაო დაზგას მოაშორა, საკუთარ „კასტათ“ გახადა და მით მას შეუქმნა საკუთარი ზნეობრივი მრწამსი. ამგვარათ, კაპიტალიზმმა საზოგადოების ეს ორი ნაწილი ერთობ დააშორა ერთმანეთს; ერთი მეორის საწინააღმდეგო შარა-გზით გაუშვა. ეს ორი გზა აწ არასდროს არ შეიყრება, მაშასადამე ეს ორი ნაწილი საზოგადოებისა არასდროს არ შეერთდება. მუშა კაპიტალისტის უბრალო მანქანათ გადაიქცა. ჯერ კიდევ ლუიბლანი ჩიოდა: შრომას ინგლისში ისე უყურებენ, თითქო უბრალო საქონელი იყოსო, შრომას ქუდისა და წაღების გაცვლა-გამოცვლის კანონებს უქვემდებარებენო.

ამას ამბობდა ლუი ბლანი 1861 წ. მას აქეთ განვლო ნახევარ საუკუნეზე მეტმა; მას აქეთ კაცობრიობამ ბევრი ჰუმანიური მოძღვრება შექმნა, მას აქეთ გენიოსებმა ადამიანის უფლებების დასაცავათ მრავალი ტომები დასწერეს; მარა მაინც არაფერი არ შეცვლილა, ყველაფერი წინანდებურათ დარჩა. თანამედროვე საზოგადოების ქვა-კუთხედათ იგივე ეგოიზმი, იგივე პირადი ბედნიერებისკენ ლტოლვილება დარჩა. კაპიტალიზმმა პატრიარქალური ფორმები თავის იდილიებით დაანგრია და მის ნაცვლათ კვარცხლბეკზე წამოასკუპა ეგოიზმი, ეს ყრუ, უსულგულო კერპი თანამედროვე საზოგადოებისა.

რით აიხსნება, თუ არ ეგოიზმით და პირადი ბედნიერების უსაზღვრო წყურვილით, ის საოცარი მოვლენა, რომ განცხრომის ფრთებით მოპარპაშე სიმდიდრის პატრონები კიდევ უჩივიან ცხოვრებას, კიდევ ესაყვედურებიან მას, რათ არ შეგიძლია მეტი განცხრომა მოგვანიჭოო?! ამ ბედისაგან რჩეულთ არ სურთ დაინახონ, რომ კაცობრიობის დიდი უმეტესი ნაწილი, რომლის მარჯვენით და ძარღვებით შექმნილია მთელი მათი სიმდიდრე, უბრალო ადამიანურ ცხოვრებასაც მოკლებულია. არ სურთ დაინახონ, რომ მათი ბედნიერების შემქნელი, თვით უბედურია: რომ მან არ იცის ხვალინდელი დღე რას მოუტანს, რითი ან სად იცხოვრებს, სად აღმოხთება ტანჯული სული: სადმე ქუჩაში თუ საავთმყოფოში.

რით აიხსნება, თუ არ ეგოიზმით, ის მოვლენა, რომ მდიდრები თითო ცოლს რომ არ სჯერდებიან, რამდენიმეს იჩენენ და მათზე აუარებელ ფულს ფლანგავენ, მაშინ, როდესაც მათი სიმდიდრის შემქნელ მუშისათვის ოჯახური ცხოვრება მეტ ბარგათ მიაჩნიათ?! ეს კიდევ რა, ისეთი ჭკვიანებიც კი მოიპოვებიან, რომელნიც შუშებს თავის შეკავებას და მოთმინებას უქადაგებენ სქესობრივ ლტოლვილებაში და ურჩევენ, იმდენათ გამრავლდით, რამდენათაც კაპიტალს ესაჭიროებით, რომ მას მუშა ხელი არ შემოაკლდესო, გადამეტებული გამრავლება კაპიტალს საფრთხეში ჩააგდებს, კაპიტალისტების უზრუნველ ცხოვრებას შეაშფოთებსო.

ბუდდას, ამ უუძველესი რელიგიის მამათმთავრის ბიოგრაფები, სხვათა შორის მოგვითხრობენ, რომ ბუდდას მამა ყოველი ღონით ცდილობდა, მის შვილს არაფერი გაეგო სიკვდილზე და გახრწნაზე; ის ცდილობდა მოერიდებინა ყველაფერი, რაც ბუდდას დააფიქრებდა ცხოვრების ფუქსავატობაზე. ამიტომ, სადაც ბუდდა დასეირნობდა, იქ გაყვითლებულ ფოთლებს და გამხმარ ტოტებსაც კი სულ წინ და წინ აკრეფდენ. ამას გარდა, იმ ქუჩებიდან, სადაც მას უნდა გაევლო, სულ ერეკებოდენ მათხოვრებს, ავათმყოფებს, მახინჯებს, და საზოგადოთ ყველა საწყლებს.

ბუდდას მამასავით იქცევა თანამედროვე კულტურული საზოგადოების ზედა ნაწილიც. პირადი განცხრომით გატაცებული, ის ყოველი ღონით ცდილობს ყველას თვალი აუხვიოს და არ დაანახვოს ის სიკვდილისა და გახრწნილების ნასახი, რომელიც თვით საზოგადოებაში არსებობს. რომაელი პატრიცი პეტრონი, მართალია გამოესარჩლა დასჯილთ, მარა ეს იმიტომ კი არა, რომ ისინი შებრალებოდა, მან თავისი ესტეტიური გრძნობა შეიბრალა, რომელიც შეილახებოდა სხვისი ტანჯვის სურათებით. სწორეთ ამ სიბრალულის მიზეზით ის ზოგჯერ იცავდა «ძაღლებს», რომ მისი უზრუნველი ცხოვრების ჰარმონია, სავსე პოეზიით და უაღრესი განცხრომით, არ შეშფოთებულიყო. თანამედროვე საზოგადოების ზედა ნაწილიც, თავს მაღლა სწევს, მხოლოდ ვარსკვლავთა გუნდით მოკაშკაშე ცას უცქერის და ყოველი ღონით ცდილობს, არ დაინახოს, თუ რა ტანჯვა-წვალებაში იკლაკნებიან მის ფეხთა-ქვეშ ათასობით ადამიანები.

აბა, რა სჯობია ჩვენ დროს! ადამიანი ორთქლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ელექტრონით მიმოსვლას აღარ სჯერდება, სხვა პლანეტაზე სამგზავრო საშვალებას ეძებს. აღტაცებაში როგორ არ უნდა მოხვიდე კაცი, როდესაც უბრალო ეტლების ადგილი ელექტრონის ტრამვაიმ და კოხტა ავტომობილებმა დაიკავა!

მაგრამ, როცა ჩვენ იქ, სადაც ავტომობილები და ტრამვაები დაქროლავს, ვხედავთ ძონძებში გახვეულებს, მოწყალებისათვის ხელ გაშვერილებს; როდესაც ჩვენ ძვირფას სამკაულებით და ტანისამოსით მორთულ ქალბატონებთან ერთათ ვხედავთ ბედკრულ პროსტიტუტკებს, მეძავ დედაკაცებს, რომელთა სახეზე აღბეჭდილია: სიცივე, შიმშილი, სიღატაკე—ჩვენ არ გვაქვს საფუძველი აღტაცებაში მოვიდეთ. თუ კი დიდებული ბუდდა გამხმარმა ტოტმა და ფოთოლმა ჩაახედა ცხოვრებაში და მისი ფუქსავატობა აგრძნობინა, ჩვენ, ასეთი სურათების მნახველთ, არ შეგვიძლია არ მივიდეთ იმ მოსაზრებამდე, რომ ჩვენი ცივილიზაცია მკვიდრ ნიადაგზე არ არის დამყარებული. ასეთ საოცარ კონტრასტს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ჩვენი ცივილიზაცია, ეს მშვენიერი ხავერდოვანი ყვავილია, რომელიც თვითვე ატარებს იმ მღილს, რომელიც ღრღნის და ძირს უთხრის მის მშვენებას. ცივილიზაციას, მსახურს ერთი მუჭა ადამიანების ინტერესებისას, ცივილიზაციას, უარის მყოფელს მთელი კულტურული კაცობრიობის 99 ნაწილისას—არ შეუძლია თავის თავი მკვიდრ ნიადაგზე დამყარებულათ გამოაცხადოს. ასეთი ცივილიზაცია, ეს თავდაყირა დადგმული ეგვიპტის პირამიდაა; ასეთი ცივილიზაცია, თვით ატარებს იმ სამსალას, რომელიც სწამლავს და ხრწნის მას. ასეთი ცივილიზაცია თვით ატარებს სიკვდილს და გახრწნილებას.

უმუშევართა საკითხი, რომელიც შეადგენს ჩემი წერილების საგანს, ერთი იმ სამსალათაგანია, რომელიც სიკვდილით ემუქრება თანამედროვე ცივილიზაციას.

პ. გულიშვილი

(შემდეგი იქნება).

სხვათა შორის

(ბ. ა. ჯორჯაძის წერილების გამო).

ბ. არჩილ ჯორჯაძე განაგრძობს საერთო ნიადაგის ძებნას და უკვე რამდენიმე წერილი უძღვნა ამ კითხვას გაზ. „დროების“ უკანასკნელ ნომრებში.

ბ. ჯორჯაძე რომ „საერთო ნიადაგის“ ძებნაში დიდათ დახელოვნებულია, ეს ყველას ესმობა. ამ ნიადაგის ძებნას შეუდგა ის პირველი გამოსვლისთანავე და ძალიან მოწადინებულიც იყო ამ შვიდი-რვა წლის წინეთ,—შეერთებია ხალხის მასსა და ამ მასსას მოწყვეტილი ფედერალისტურ-სტიქიონალისტური ინტელიგენცია. მისდა საბედნიეროთ ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა და ხალხმა სრულიათ აუარა გვერდი ს.-ფედერალისტებს. მოწინააღმდეგეთა აგიტაციის შედეგი იყო ესა თუ თვით ს.-ფედერალისტების ცხოვრებასთან შეუგუებლობისა, ან კიდევ ერთი მოძღვრების უფრო სამართლიანობისა შედარებით მეორესთან, ამაზე დაბარაგს აქ არ შევუდგებით, გავიმეორებთ მხოლოდ ყველასათვის ცნობილ ამბავს, რომ ხალხი თავისთვის ეძებ. ბ. ჯორჯაძის ბარტია კიდევ თავისთვის.

ასე იყო განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისა და ძველა-მოსილების დროს. ასე იყო წინეთ და ასე არის დღესაც. ბ. ჯორჯაძეც ამიტომ ეძებდა საერთო ნიადაგს წინეთ და ეძებს ახლაც. წინეთ ბ. ჯორჯაძე „ეროვნული“ დროშის ქვეშ ლამობდა ხალხის შემოკრებას. ხალხმა, გლეხობამ და მუშებმა, უარეყვეს მისი ლოზუნგი. უარეო იგი ქალაქის წვრილმა ბურჟუაზიამაც და სამივე ეს ელემენტები გაეკვა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ბარტიას. იგი იცვნეს თავის ხელმძღვანელათ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს და სამხელ მომხდარ სახელმწიფო არჩევნებში ამ ბარტიის კანდიდატებს ჩაბარეს თავისი მანდატები. ამ მოვლენას უნაყოფოთ არ ჩაუვლია ბ. ჯორჯაძისათვის. ახლანდელ თავის გამოსვლაში იგი სრულიათ განზე სტოვებს დიდ კითხვებს და თხოულობს მხოლოდ ბრაქტიკულ კითხვებში ერთათ მოქმედებას: კულტურულ მუშაობაში „დემოკრატიის გაერთიანებას“. ამ ბროექტის წარმოსადგენათ ის წაუქეზებია მიმდინარე მომენტის ბოლიტიკურ კონიუნქტურას, რადგან, მისი აზრით, დღევანდელი დღე სრულიად შეუფერებელია სოციალიზმის ბრაბაგანდისათვის, ვინაიდან სახალხო მოძრაობის მაჯის ცემა მეტათ მისუსტებულია. ბ. ჯორჯაძეს რომ დავუჯეროთ, ხალხის ეს უბედურება სასარგებლოც კი ეოფილა, რადგან მისი შემწყობით დემოკრატიას თვალთაგან გადაშორებია ის ბინდი, რომელიც მოძრაობის დროს „ქონდა გადაფარებული“. ამ უბედურებას დაუნახვებია ჩვენთვის, რომ ჩვენში მხოლოდ მეცხვარეები, მებადეები და მეგვანახეები არიან, ერთი სიტყვით ჩვენი ნამდვილი სურათი დაუყენებია თვალწინ. ეოფილიყო ეს იმედს აძლევს ბ. ჯორჯაძეს, რომ „დემოკრატიის გაერთიანება“ დღეს ადვილი შესაძლებელია, თუ კი ამას მეთაური ჯგუფები მოისურვებენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელი ცდაც უნაყოფოთ ჩაუვლის ბ. ჯორჯაძეს, რადგან მას ძალიან შემცდარი წარმოდგენა აქვს დემოკრატიის გაერთიანებაზე.

თვით დემოკრატიაც მეტათ ახირებულათ აქვს განსაზღვრული. როცა ის დემოკრატიის გაერთიანებაზე ლაპარაკობს, „სახეში აქვს განსაკუთრებულათ ჩვენი გლეხობა და ის ინტელიგენცია, რომელიც ბრესსისა და სხვაგვარ მოდაკწყობის საშვალებით ხალხის ინტერესებთან არის დაახლოებული“. ამ რიგათ, ბ. ჯორჯაძის წარმოდგენაში დემოკრატია შედგება მხოლოდ გლეხობისა და დემოკრატიული ინტელიგენციისგან. სად გაფრინდა მუშათა კლასი ან ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ეს მის სიდუმლოებას შეადგენს! მისივე სიდუმლოებაა ისიც, თუ რაგორ უნდა შეერთოს **ქალაქში** კულტურულ საქმეში მომუშავე ინტელიგენცია გლეხობასთან, თუ ის „ტექტიათა მატრიოიდეთა“ ლოზუნგს უკუაგდებს! ან რა იქნება ისეთი გაერთიანებული დემოკრატია, რომელშიც, მაგალითათ, არ შედის მუშათა კლასი, ის მუშათა კლასი, რომლის ისტორიული დანიშნულებაა, ჩვენი რწმენით, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში დგომა? ამის გამოცნობაც ბ. ჯორჯაძეს უნდა მიენდოს.

მაგრამ მივიდოთ ჯორჯაძისებური განსაზღვრა დემოკრატიისა და ჩვენც ის დავიუენოთ მსჯელობის საგნათ.

ბ. ჯორჯაძისთვის უკვე ადმოჩენილი თვალია, უკვე დამტკიცებულია, რომ „ჩვენში მხოლოდ მეცხვარეები, მეგვანახეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და მიწათ-მოქმედნი ყოფილან". ეს რომ ასე იყოს, მაშინ ბ. ჯორჯაძის დემოკრატია მართლაც ერთგვარი იქნებოდა, მაგრამ მისდა სამწუხაროთ ეს მისთვის უცილობელი დებულება ჩვენთვის დიდსა და დიდს დამტკიცებას საჭიროებს. ამიტომ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მისი დამამტკიცებელი საბუთი სრულიად დაუმტკიცებელია. პირიქით, ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით და გვგონია დამტკიცებულიც არის ყველასთვის აშკარათ, რომ ჩვენში ის ერთფეროვნება, რომელიც ბ. ჯორჯაძეს მოჩვენებია, უკვე ისტორიას ჩაბარდა. კლასობრივმა დაყოფამ დიდი ხანია იჩინა თავი საზოგადოთ სოფელში და კერძოთ თვით გლეხობაშიც. მართალია, არიან მეცხვარეები, მევენახეები და მიწათმოქმედნი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იმავე ცხვართან, ვენახთან და მიწასთან ხშირათ სულ სხვა და სხვა კატეგორიის ხალხს აქვს საქმე. აქ არიან, ერთი მხრით ისეთები, რომელნიც სარგებლობენ ამ ქონებით, ხოლო მეორე მხრით ისეთები, რომელნიც თავის ამგვარ პირველთ აკბობენ და თვით გაძვალტეკვებულნი არიან. ასეთი დანაწილების ტენდენციამ დიდი ხანია იჩინა თავი თვით გლეხობაშიც. შესაძლოა ბ. ჯორჯაძეს მხოლოდ ეგრეთ წოდებული მშრომელი გლეხობა ეკვს სახეში, რომელსაც ტრუდოვიკები და ს.-რევოლიუციონერები შეტრფიან, მაგრამ ჩვენთვის ეს განმარტებაც არ არის დამაკმაყოფილებელი და ყოველთვის თვალწინ გვიდგია, ერთი მხრით, უკვე გაპროლეტარებული გლეხობა, მეორე მხრით იმავე გლეხობიდან წარმოშობილი სოფლის ბურჟუაზია და მესამე, ამ ორ კლასობრივათ უკვე დაშორებულთა შემაერთებელი ელემენტი—საშვალო გლეხობა. დემოკრატიის თვართო მნიშვნელობა სამივეს იტევს, მართალია, მაგრამ მაინც საჭიროა ვიცოდეთ, რომელ ერთ მათგანისაკენ ეპატიჟება ბ. ჯორჯაძე ინტელიგენციას შესაერთებელათ ანუ გასაერთიანებლათ? ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა ვიცოდეთ, ვისთვის ზრუნვა უნდა დაგვისრულ დემოკრატიულ ინტელიგენციას... უამისოთ ცოტა გაუგებარია ბ. ჯორჯაძის პოზიცია.

მაგრამ, ნუ ავუხირდებით და გავუვეთ ისევ მის აზრთა მსვლელობას. ბ. ჯორჯაძეს უნდა გლეხობასთან „გაერთიანოს" „ხალხის ინტერესებთან დაახლოებული ინტელიგენცია", ე. ი., როგორც ირკვევა შემდეგ მისი წერილებიდან, ს.-დემოკრატიული და ს. ფედერალისტური ინტელიგენცია. კარგი და პატიოსანი. მაგრამ სანამ ამ ორ ჯგუფს გლეხობასთან მიიყვანდეს, მისთვის აუცილებელი ხდება თვით ამ ორი ჯგუფის „გაერთიანება", და სწორეთ აქ უძნელდება საქმე. ამას გრძნობს თვით ბ. ჯორჯაძე, არ ეძლევა უადგილო ოპტიმიზმს და ერთ-ერთი გაზეთიდან პასუხიც მიიღო, რომ მისი პესიმიზმი სამართლიანი ყოფილა. მაგრამ ბ. ჯორჯაძე მაინც არ ცხრება და განაგრძობს „საერთო ნიადაგის" ძებნას. პოულობს კიდეც, მაგრამ ვაი, ამისთანა პოვნას! სანამ იგი ამ ნავთსაყუდელს მიადწევდა, ყველა თავისი ხომალდები შემოეწვა, და, არა გვგონია, ასეთი „ბაგაყით" მომავალი მიიღოს ვინმემ „გასაერთიანებლათ".

თუ როგორ მოუვიდა ეს ბ. ჯორჯაძეს, ამაზე შემდეგ წერილში.

შავ-წყალა.

ეკონომიური ცხოვრების განვითარება.

I

ეკონომიური ცხოვრების განვითარებას რომ თვალი გადავავლოთ, აშკარათ დავინახავთ, რომ ადამიანთა მატერიალური, სულიერი და ინტელექტუალური მოთხოვნილებების გამრავლება-გაფაქიზება პროგრესიულათ მომდინარეობს, თანდათან იზრდება, დაბალ საფეხურიდან მაღლისაკენ მიექანება. მთელი მოთხოვნილებების გაღრმავება-გაფართოება, მთელი კულტურული განვითარება მჭიდროთ შეკავშირებულია ადამიანთა საზოგადოებასთან და პირდაპირ ნაყოფია მისი სოციალური ურთიერთობის. იგი არ არის ერთ რომელიმე ინდივიდუმის ნამოქმედარი, ერთ რომელიმე პირის გამომუშავებული. მის წარმოშობა-განვითარებაში ჩვეულებრივ მთელ გენერაციას (ჩამომავლობას), მთელ თაობას მიუღია მონაწილეობა. ასობით და ათი-ათასობით ჩვენი წინაპრები, რომლებიც ჩვენზე წინ, ძველათ ცხოვრობდენ და მოქმედებდენ, მომავალს ძვირფას საუნჯეს, დიდ სიმდიდრეს უტოვებდენ. ცოდნა-გამოცდილება, რომლის შეძენა-მოპოება მათ ერთობ მძიმე ბრძოლის პირობებში უხდებოდათ, შემდეგ თაობისთვის ღონიერი, წინ წამწევი ფაქტორი იყო. წინაპრების მიერ შეძენილ-მოპოებული გაუმჯობესებანი ყველგან და ყოველთვის შეურყეველი ბაზისი, მჭიდრო ნიადაგი ყოფილა, რაზედაც აღმოცენებულა მომავალი წარმატება, ადამიანთა წინმსვლელობა.

მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი კულტურული აღმოჩენა, კულტურული წინსვლა, მთელი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით სოციალური ხასიათისაა, საზოგადოებრივი მოვლენაა, პირველათ ის მაინც განსაზღვრულ, თვითეულ ადამიანების გონებაში იბადება, თვითეულ ადამიანებიდან წარმოიშობა, ანდა—მრავალ ინდივიდუმთა კოოპერაციისაგან წარმოსდგება. ა'ეთ ინდივიდუმთა თუ კოოპერატიულ ამხანაგობის გამოგონება-აღმოჩენები მეცნიერულ ცოდნის და ტეხნიკურ დახელოვნების ერთგვარი გამოსავალი ცენტრია, რომელიც ისტორიის, ცხოვრების მსვლელობის დროს საზოგადოებაში ინახება და დაბოლოს ყოველ ახალ კულტურულ წინმსვლელობას საძირკვლათ ეყრება. მართალია, პირველ ხანებში, თვითეული კულტურული აღმოჩენა, კულტურული წინსვლა ხელმიუწდომელია ხალხის დიდი ნაწილისთვის, მაგრამ მალე მთელ მის კარ-ჩაკეტილობას ეხსნება რკინის კარები და ხალხის კუთვნილებათ ხდება. ეკარგება თავისი პირველყოფილი ლოკალური (ალგილობრივი) ხასიათი, სწრაფათ ვრცელდება საზოგადოებაში და მით მკვიდრ ნიადაგზე აყენებს მთელი კაცობრიობის ცივილიზაციას.

ცივილიზაციის აღორძინება-წარმატება კი წარმოუდგენელია, თუ უმაღლესათ არაა განვითარებული მიმოსვლის და ტრანსპორტის მოწყობილობანი, მისი მექანიზმი. აწმყო, თანამედროვე კულტურა ინტერნაციონალური ხასიათისაა, სხვა და სხვა ქვეყნების ნაციონალური კულტურული განსხვავება არსებითი არ არის, ამიტომაც, საერთოთ, ყველა ერთგვარ სოციალურ განვითარების საფეხურზე იმყოფება. **დღევანდელი კულტურა, ვიმეორებთ,**

ინტერნაციონალურია, ვინაიდან მიმოსვლის საშუალებების განვითარებამ, მიმოსვლის ტექნიკამ ერთი მხარე მეორე მხარეს, ერთი ქალაქი მეორე ქალაქს ისე დაუახლოვა, ისე მჭიდროთ დაუკავშირა, რომ მათ შორის კულტურული გაერთიანება ხდება, კულტურული გათანასწორება მყარდება. ჯერ ესა თუ ის იდეა კი დაბადებულა, კარგათ არც კი შემუშავებულა, რომ ის ელექტრონის საშვალებით მთელ დედამიწის ზურგს ელვის სისწრაფით ედება და მილიონობით ხალხის ყურ-მისაწდომი, გასაგები ხდება. ამგვარათ, დღევანდელ პირობებში ამა თუ იმ ინდივიდუმის, ამა თუ იმ ერის, ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული მოქმედება, კულტურული დაწინაურება სწრაფათ ხდება მთელი ქვეყნის კუთვნილებათ. სულ სხვას ვხედავთ წარსულში. რამდენათაც ქვევით წავალთ, ისტორიის შორეულ დროს შევეხებით; იმდენათ ამკარა იქნება ჩვენთვის თანამედროვე განვითარებულ მიმოსვლის, ტრანსპორტის უპირატესობანი, იმდენათ შეურყეველათ დავრწმუნდებით მის უმჯობესობაში. ძველათ, როცა ერთიმეორეს დაშორებული ადგილები ერთმანეთს არ უკავშირდებოდა, მიმოსვლის საშვალებით არ უახლოვდებოდა, მაშინ თითქმის თვითეული ხალხი, თვითეული მხარე დამოუკიდებელ, კარჩაკეტილ ცხოვრებას აწარმოებდა; ყოველი მხარე, ყოველი ადგილი მოწყვეტილი იყო ერთი მეორიდან. იმ დროს კაცობრიობა გავდა ფიზიკურ სხეულს, რომელსაც ნაწილები მოკვეცილი აქვს, ემსგავსებოდა მკვდარ და უსიცოცხლო ორგანიზმს, ვინაიდან მთელ ორგანიზმსა და თვითეულ ნაწილს შორის რეგულიარული სისხლის მოძრაობა შეწყვეტილი იყო. ამგვარ პირობებში, რასაკვირველია, კულტურას აუცილებლათ სპეციფიკური (განსაკუთრებული), ლოკალური (ადგილობრივი) და ტერიტორიალური ხასიათი აქვს; ამასთან, იგი მეტათ განვითარებელი და ბარბაროსულია. მხოლოდ მიმოსვლის საშვალებით, რომელიც გამოწვეულია ნაწარმოების მეოხებით, ირღვევა ძველი ეკონომიური კარჩაკეტილობა, ნატურალური წარმოების ფორმა და ჩაღდება თანამედროვე კაპიტალისტური, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, საქონლის წარმოების ურთიერთობა. მაგრამ, სანამ დღევანდელი კულტურული ხალხები, ცივილიზაციური ქვეყნები არსებულ ეპოქას მიაღწევდენ, მანამ მათ განვლეს სხვა და სხვა ეკონომიური ხანა, განვითარების სხვა და სხვა საფეხურები, რის დაწვრილებით განხილვა მომავალ წერილების სპეციალური დანიშნულებაა. ეხლა კი, პირდა-პირ კითხვაზე გადავიდეთ.

დღეს-დღეობით მთელ დედამიწის ზურგზე აღარ მოიპოება ისეთი ველური ხელხი ანუ თემი, რომელიც განვითარების ჯერ ისევ პირველ საფეხურზე იდგეს, ნახევრათ ცხოველურ ანუ ნადირულ და ნახევრათ-კულტურულ ადამიანის ცხოვრებას ეწეოდეს. თვით ლიტერატურაშიც კი ველარ შეხვდება კაცი ცხოველის მსგავსათ მაცხოვრებელ ადამიანს. მართალია, ზოგიერთა ეთნოლოგებს ეგონათ, რომ მათ აღმოაჩინეს მეტათ დაბალი კულტურის ტომები, პირველ-ყოფილი ადამიანები, მაგრამ, როცა დაწვრილებით გამოიკვლიეს მათი ყოფა-მდგომარეობა, დაწვრილებით შეისწავლეს მათი ცხოვრება, აშკარათ დარწმუნდენ, რომ ისინი სცდებიან. ამ ტომებში უკვე მოიძებნებოდა, რასაკვირველია შედარებით, ძალიან კულტურის ნასახი, კულტურული ადამიანის ცხოვრების ნიშნები. მთელ დედამიწის ზურგზე აღარ მოიპოვება ისეთი ველური ხალხი, რომელთაც ცეცხლის ხმარება არ იცოდენ. მართალია, აქა იქ, დიდ ოკეანეს წვრილ კუნძულებზე მოიპოებიან მთელი რიგი წვრილი ხალხებისა, რომელთა ცხოვრებაც ბევრათ არ დაშორებია პირველ ყოფილ ველურის ცხოვრებას; ასეთი ხალხები არიან მაგ., ტყის ინდოელები ბრაზილიაში, ვედები ცეილონის კუნძულზე, კუბანები სუმატრაზე, სამხრეთ აფრიკის ბუშმენები, ეტები ფილიპის კუნძულებზე, ბოცოკუდები და სხვ., მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილმა წვრილ-წვრილ; ნახევრათ ველურმა ტომებმა, როგორც ლეიპციგის პროფ. კარლ ბიუხერი და ო. პებელი მოგვითხრობს, ცეცხლის ხმარება იციან. ამასთან, მათში აქა-იქ შეხვდება კაცი კულტურის ნასახს, რაც იმას ამტკიცებს, რომ მათ ერთი ნაბიჯი კიდეც გადაუდგამთ ცივილიზაციისკენ. ცეცხლი კულტურის უძლიერესი მამოძრავებელი ნიშანია; ცეცხლი პრიმიტიულ ადამიანს უფართოებს საზრდოს მოსაპოებელ ალაგებს, ასწავლის მას ხისგან შუბის და ფარის გაკეთებას, მასში ფულუროს მოწყობას და გარეულ ნადირის დაფრთხობას. ასე, რომ ამ ჟამათ არ არსებობენ ისეთი პირველ-ყოფილი ხალხები, საცა კულტურას ცოტარი მაინც არ შეეშუქებინოს, კულტურულ ელემენტებს თავი არ ეჩინოს.

ამ პრიმიტიული ხალხების ეკონომიური მდგომარეობა-კი შემდეგ წერილში განვიხილოთ.

შვარცი.

ის კი...

ცისა კიდე ჩაიფერა,
მთამ მოიძრო შავი თექა,
ცხოვრების ზღვა აბობოქრდა,
შრომის ზარმა დაიქექა.

ოფლის მღვრელმა მძიმე ტვირთ ქვეშ
კვლავ წახარა ნებით ქედი
და აჟღერდა მძიმე ხუნდი
მის მარჯვენზე დანაქედი.

ეს ხომ მისი ,,ჩანგი'' არის,
ბედისაგან მონატანი,
მუდამ ოფლით გათხუპნილი,
ხშირათ ცრემლით განაბანი!

ჟღერის ,,ჩანგი''! ის კი... მიდის
მძიმე ტვირთ ქვეშ მოკაკული
და სულ სხვა გვარ ჰანგის ტრფობით
იმსჭვალება მისი გული.

„ეს" რომ ჟღერის, ეგ სულ სხვაა!
ის სულ სხვაა სანატრელი, —
სამერმისო შვების კილო,
ოცნებისგან განუყრელი!

აქ, ამ ,,ჩანგზე'' ბედის სიმნი
უკულმართათ დახლართულან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტკბილ ხმას ვერ გამოსცემენ,
სანამ მწყობრათ არ გაბმულან.
ამათ უნდა გასწორება,
მწყობრათ გამბა ბედის ჩანგზე,
რომ კვლავ მაინც აწკრიალდენ
საოცნებო იმ ტკბილ ჰანგზე!
ძნელი არის, რა თქმა უნდა,
რაც გზა უდევს მის განზრახვას,
მაგრამ თითონც ნაჩვევია
ყოველგვარ ჭირთ გადალახვას.
ყღერის „ჩანგი“!.. ის კი... მიდის
მძიმე ტვირთქვეშ მოკაკული
და სულ სხვა გვარ ჰანგის ტრფობით
ძგერის, ტოკავს მისი გული!..
გარიჟრაჟდა! მიდამოს კი
ისევ აკრავს მწუხრის ბინდი.
ის კი... მიდის და თან მიაქვს
სამერმისო შვების წინდი.
ირგვლივ ღელავს ცხოვრების ზღვა,
შრომის ზარი მწარეთ გმინავს...
ის კი... მიდის და გზის მნათად
შვების სხივი მის წინ ბრწყინავს! .

ნ. ბომლეთელი.

ბ რ ბ ო.

(თარგმანი)

მე მინახავს იგი, მუდამ მხიარული, უზრუნველი, მორთულ-მოკაზმული, ლამაზი. მე მინახავს ის, როცა მთელი თავისი მასსით ახმაურებულ-აბობოქრებული მისცურავდა მდიდარი ქალაქის განიერ ქუჩებში, რომლის ჟივილ-ხივილით ავსებული იყო თვით ჰაერიც კი; მინახავს იგი მოცინარ მოკისკასე, ისე როგორც უზრუნველ-უდარდელი ბავშვი, როცა ის ისმენს რაიმე მხიარულ, ფანტასტიურ ზღაპარს.

აი, აგერ ჩაუარა მან შეგროვილ მაშვრალთა და ტანჯულთა ჯგუფს, რომელნიც იშვერენ თავიანთ დაკოჟიჟებულ ნაშრომ ხელებს მოწყალების სათხოვრათ.

— მოწყალება მოიღეთ,—ძლივს ბუტბუტებს მკრთალი ბაგენი ძონძებში გახვეულ პატარა ქალისა.— დედა მიკვდება, და და-ძმები კი მშივრები მყვანან, ეს ორი დღეა მეც არაფერი მიჭამია.

— საცოდავო ბავშვო! რათ დგეხარ შენ აქ ქუჩაზე? რათ კვდება დედაშენი? რატომ განიცდიან შიმშილს შენი და და ძმები? მაგრამ რა საქმე აქვს შენს მწუხარებასთან მხიარულ ბრბოს! გულს ვერას აგრძნობინებს შენი ტანჯვა, შენი უმწეო მდგომარეობა და შენც ისე გულგრილათ ჩაგივლის გვერდს, როგორც ათას შენგვარათ გაწამებულის მახლობლათ ჩაუვლია.

***

ეს რა ყვირილი და ხმაურობაა? რისთვის შეკრებილა ეს ბრბო, რას უცქერის ის ასეთი ცნობის მოყვარეობით? ტრამვაის გაუსრესია მუშა. ბედშავს ოჯახი დარჩენია ულუკმაპუროთ და უმუშახელოთ!.. ამის ნახვაზე რაღაც მსუბუქმა აჩრდილმა მწუხარებისა და მღელვარებისამ გადაურბინა ბრბოს მუდამ მხიარულ სახეს. მაგრამ ეს იყო წუთიერი—მალე, სულ მალე მისცა დავიწყებას სისხლი, სიკვდილი და განაგრძო თავისი გზა ისევ ისეთი მხიარულებით, როგორც ამ გულ შემზარავი სურათის დანახვამდე.

***

აზვირთებული მდინარის ნაპირს გამოჰქონდათ დამხრჩვალი ახალგაზრდა ქალის გვამი.

რა მოხდა? იკითხა ბრბომ, როცა დაინახა ჯერ კიდევ სრულებით ჭაბუკი ქალი, რომელმაც, უთუოდ, ბევრი ტანჯვა და სულიერი მღელვარება განიცადა, მინამ მივიდოდა ამ საშინელ დასკვნამდე, და ისევ დინჯათ განაგრძო თავისი გზა.

***

ერთ კუთხეს ცისას რაღაც წითლათ აშუქებდა და თან ყიჟინითა და სტვენით ანადგურებდენ და აწიოკებდენ უდანაშაულო მცხოვრებლებს. ამ განადგურებულ და დაქცეულ უბნის მახლობლათ გაისმოდა დაუსრულებელი კვნესა უპატრონოთ დაყრილ-დასახიჩრებულ ხალხისა. ბრბომ ჩვეულებრივი გულგრილობით ჩაუარა მათ მხიარული სიცილ-ხარხარით.

ნუ თუ არც ერთი მწუხარება, ტანჯვა და ვაება არ ეკარება, არ ალბობს გაქვავებულ გულს ბრბოისას?! არა, როგორ არა, მან იცის ქვითინიც კი გულის სიღრმიდან აღმომხდარი სხვის უბედურებაზე, მარა თავისი საკუთარი ცრემლებით კი, არასოდეს!..

გაჩაღებულ-განათლებულია ელექტრონის ჭაღებით დიდი თეატრის დარბაზი, ეტლებს განუწყვეტლივ მოჰყავს ურიცხვი მაყურებელი საზოგადოება თეატრის შემოსავალ კარებთან; გაბრწყინვებული მათი სახე, კოხტა-კაბწია მორთულობა ძვირფასი სამკაულებით დამშვენებული, მხიარული, მსუბუქი ხასიათის ლაპარაკი, სიცილ-ხარხარი ჰქმნის სწორეთ იმ საერთო ჟრიამულს, რომლითაც აივსო თეატრის დარბაზი. აიხადა ფარდაც, მაყურებელთა თვალს წარმოუდგა მსახიობნიც. ისინი, მხურვალე გრძნობით აღსავსენი, უხატვენ მაყურებელთ მთელ ტრაგედიას ცხოვრებისაგან განწირულ, გაუბედურებულ ქალებისას, რომელნიც იტანჯებიან სიმშილისაგან, სიღატაკისაგან, და რომლებსაც არსებობისათვის ბრძოლას ლუკმა პურისათვის ზნე-დაცემულობამდისაც კი მიუყვანია. ისინი ცხოვრების პირობებთა გავლენას გარდუქმნია უბრალო მუშებათ, რომელთა რიცხვი ასობითა და ათასობით იღუპება ულმობელი ცხოვრების სასტიკ კანონების შეჯრძოლებაში. ისინი გამხდარან უდანაშაულო მსხვერპლებათ ადამიანის უსამართლობისა, გულ-ქვაობისა და უგრძნობლობისა,—აი, ამ დროს კი ბრბო უხვათ აქცევს ცრემლს, მოზვირთებულია მისი გრძნობა და თეატრშიც გაისმის დაუსრულებელი ვაების გამომეტყველი ქვითინი: ულმობელი და უგრძნობელი ბრბო ბუნებრივი უბედურების ხილვის დროს—სტირის და გოდებს ხელოვნურათ შექმნილ უბედურებაზე.

ე. ჭ.

საღდგომო.

—

გაზაფხულდა. მთა-მინდორი
მოიკაზმა, აფერადდა;
ცის სივრცეში გედის გუნდი
შესრიალდა, შენავარდდა!

—

ტყის ჩირგვებში სატრფო იას
მორცხვათ თავი დაუხრია,
გამქვირვალე ალმასივით
ცის ცვარ-ნამი ზე აყრია!

—

იქვე ახლოს ბროლის წყარო
მოკისკისებს, მოჩანჩქარებს,
ტკბილ ხმებს უმღერს კიდე-ნაპირს,
ზეფეებით რწყავს ბუჩქ-მცენარებს!

—

მწვანით მოსილ ტრიალ ველათ
მთის ნიავმა იწყო ქროლა,
ზამთრისაგან კრული გული
ამიძგერა, ამითრთოლა!

—

ფერი ეკრთო სავსე მთვარეს,
იღვეღფება რალაცაზე...
კიდეც ჩაჰქრა. მის ადგილას
მზემ კაშკაში იწყო ცაზე!...

ანგელოსნი ჰრეკენ ზარებს,
თან გალობენ ჰიმნს ცისკრისას
და ამცნობენ კიდით კიდეს
აღდგომის დღეს მაცხოვრისას!..

გ. ქუჩიშვილი.

სოციალიზმი და ანარქიზმი.

(პროფ. ნ. რაიხესბერგისა)

თარგმანი.

ყველა, ვინც კი მიუდგომლათ გადაავლებს თვალს სოციალურ განწყობილების განვითარებას ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ადვილათ დაინახავს, რომ დღეს კულტუროსანი ერები მეტათ კრიტიკულ ეპოქას განიცდიან. არა მგონია, რომ ასეთი უკმაყოფილება თავისი მდგომარეობისა და უზრუნველყოფას მოკლებულობისა წინათაც ოდესმე მოფენოდეს ხალხის ყველა წრეებს. არც საკვირველია. დღევანდელი მდგომარეობა სრულ საფუძველს იძლევა ასეთი უკმაყოფილებისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი დიდ იმედებს იძლეოდა; ოცნებით გატაცებული ხალხის გონებას ბევრი წარმტაცი სურათი ეხატებოდა; მას თვალწინ ედგა ყოველ მხრით ბედნიერი და კმაყოფილი ადამიანი.

ეს იყო ტკბილი ოცნება, საოცარი სიზმარი, რომელიც, სამწუხაროთ, ერთობ მალე გაქრა.

სასტიკმა სინამდვილემ გაფანტა ფანტაზიის მშვენიერი ნაყოფი, გააცამტვერა ადამიანის გონების ცის სივრცეში აგებული კოშკები!..

გავიდა საუკუნე და დღეს, ნაცვლათ მშვიდობიანობისაკენ მოწოდებისა, ნაცვლათ საღდესასწაულო ზარისა, ყველგან და ყველას კლასობრივი ბრძოლისაკენ იწვევენ.

საზოგადოება დღეს უფრო ღრმათ არის დაყოფილი ერთი მეორის მოპირდაპირე კლასებათ, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ყველგან გამწვავებულია ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო!

ყველაფერზე უფრო გულის მომწამვლელი კი ის არის, რომ თვით ეს საშინელი ბრძოლა, სწორეთ იმ მოვლენათა წარმოშობილია, რომელნიც, რამდენიმე ხნის წინეთ ადამიანს ბრავალ იმედებს უბადებდა.

ძველი რეჟიმის დამხობა, იმ რეჟიმისა, როცა მოქალაქე არ არსებობდა, იყო მხოლოდ ქვეშევრდომი, რომელსაც ცხვრის ფარასავით იქით მიერეკებოდენ, საითაც ბატონს ნებავდა და ისე კრეჭდენ, როგორც მოისურვებდენ; გვართა და წოდებათა უპირატესობის მოსპობა, თავისუფლების და თანასწორობის აღიარება; ამასთან ერთათ ის თავბრუ დამხვევი გამოგონებანი და აღმოჩენანი მეცნიერებაში და ტეხნიკაში, რომელთაც მანამდე უძლეველათ მიჩნეული ბუნების ძალები დაუმორჩილეს ადამიანს, და მასვე ხელმისაწდომათ გაუხადეს ბუნების ულეველი სიმდიდრე, — ყოველივე ამათ, ასე ეგონათ, უნდა მოესპო ადამიანის ტანჯვა-ვაება ამ ქვეყანაზე. სამწუხაროთ, სინამდვილემ სულ სხვა რიგათ დაატრიალა საქმე, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

პოლიტიკურმა ცვლილებამ სრულიადაც ვერ შესცვალა ეკონომიური მონობა ხალხის მასსისა. ამ მონობას მხოლოდ სხვა ფორმა მისცა, რომელიც წინანდელისაგან არაფრით განსხვავდება არსებითათ, მიუხედავათ იმისა, რომ ძველი იძულებული იყო, დაეთმო ხალხის მოძრაობისათვის.

პროგრესთან ერთათ იმატა სიღარიბემაც. ყოველი გაუმჯობესება მრეწველობაში, მიმოსვლის იარაღებში და სხვა დარგში, იწვევდა რამდენიმე ათასი ადამიანის გაუბედურებას. უთვალავი სიმდიდრე, რომელიც ყველასათვის ბედნიერების მისანიჭებლათაც კი კმაროდა, თანდათან თავს იყრიდა მცირე რიცხვის ხელში. აუარებელი სასარგებლო საგნები, რომელთაც შეეძლო დაეკმაყოფილებია მრავალთაკენ მრავალი ადამიანის მოთხოვნილებანი, დღეს იღუპება და ლპება, ობდება მრეწველთა ბელლებში, რადგან გასავალს ვერ პოულობს. ხოლო ამათი გვერდით აუარებელი მუშა ხალხი წელებზე ფეხს იდგამს, ძალ-ღონეს ილევს, რომ ამ გადამეტებულ შრომით იმდენი მაინც იშოვოს, რომ შიმშილით არ გაწყდეს; ეს ხალხი ითმენს შიმშილს, წყურვილს, სიცივეს და მრავალ სხვა ვაი-ვაგლახს, უდროოთ ესალმება წუთი სოფელს, ისე, რომ ერთხელაც ვერ იგემებს ცხოვრების იმ ბედნიერებათ, რომელთაც ეგრე უდარდელათ აბნევს უშრომელთათვის თანამედროვე ცივილიზაცია.

თავისთავათ აშკარაა, ასეთ მდგომარეობას ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლოს უნდა დაერწმუნებია უფრო მგრძნობიარე და შეგნებული წევრები საზოგადოებისა, რომ ასეთი მდგომარეობა სასირცხვოა კაცობრიობისათვის; ასეთ სანახაობას უნდა გამოეწვია სურვილი ამ უსამართლობის მოსპობისა და არსებული წყობილების შეცვლისა; უნდა ჩაეგონებია მათთვის, რომ მათ ყოველივე ძალ-ღონით უნდა იბრძოლონ საზოგადოებაში ახალ, საღ დამოკიდებულებათა დასამყარებლათ.

მართლაც, ძალიან ბევრი პროექტები შეიმუშავეს ხალხის კეთილის მყოფელებმა თანამედროვე საზოგადოებრივ დაავადების განსაკურნავათ. ამ მხრივ პრობლემის გადაწყვეტას ბევრმა მეცნიერმა და პრაქტიკულმა მოდვაწემ მოკიდა ხელი—მათ უნდოდათ მოესპოთ ხალხის მასის სიღატაკე. მაგრამ, როცა ამ პროექტებს უკვირდები, აშკარათ ხედავ, რომ უფრო ხშირათ ისინი აწოლილ საზოგადოებრივ დაავადების სიმპტომებს, ნიშნებს ებრძვიან და არა იმ მიზეზებს და პირობებს, რომელთაც წარმოუშვიათ თვით სენი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ცდა გამომდინარეობს ისეთ პირთაგან; რომელთაც პირადათ არ უგრძვნიათ ამ პირობათა ზეგავლენა.

დამახასიათებელია აქ ისიც, რომ ხშირათ ამ რეფორმატორული სურვილების საფუძველი არის წარმოდგენა, ვითომც თვით სამწუხარო მდგომარეობა წარმავალი და შემთხვევითი იყოს; ასე გონიათ,—თუ გული გულობს, ყველაფერი შეიძლება წესრიგზე მოეწყოს ახლავეო; გონიათ, მარტო კეთილი სურვილებია საკმარისი.

II

მაგრამ სწორეთ იმ დროს, როცა სხვა და სხვა ბურჟუა სოციალ-რეფორმატორები ხსენებული ტიპის პროექტებს იგონებდენ, თვით პროლეტარიატი, ე. ი. თვით ტანჯული და ღატაკი მასა, რომელიც თავისი მარჯვენის შრომით ცხოვრობს და წარმოების საშვალებათა და იარაღის პატრონების მონობას განიცდის, ეს მასა ცდილობდა ამ პრობლემის გადაჭრას; და ყოველი მისი ცდა წინააღმდეგ ხსენებულ პროექტებისა, იმ შეხედულებიდან გამომდინარეობდა, რომ თვით არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების ბუნება აუცილებლათ ბადებს არსებულ ბოროტებას; ამ ბოროტებითაა დაჩაგრული უმრავლესობა ყველა განათლებულ ქვეყნებში.

ამ დედა აზრიდან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ არსებული სიღატაკის პრობლემის საბოლოოთ გადასაწყვეტათ, რომელიც თანდათან მწვავდება მიუხედავათ აუარებელი საერო სიმდიდრის დაგროვებისა, **აუცილებლათ საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების სრული გარდაქმნა.**

ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს ორგვარი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ეგრეთ წოდებულ მეოთხე წოდებისა, სისტემა **სოციალიზმისა**, ერთი მხრით და **ანარქიზმისა**, მეორე მხრით.

უმთავრესათ ამ ორ სისტემათა, ე. ი. სოციალიზმისა და ანარქიზმის, არსენალიდან გამოაქვს თავისი ბასრი იარაღი თანამედროვე პროლეტარიატს არსებულ წესწყობილებასთან საბრძოლველათ, თუმცა თვით სისტემათა მიმდევარნი ერთმა მეორის მოპირდაპირე ლაშქარს შეადგენენ.

ეს გარემოებაც საკმარისია იმის გასაგებათ, თუ რატომ ეპყრობიან ასეთი ზიზღით და მძულვარებით სოციალიზმის და ანარქიზმის მიმდევართ თანამედროვე წყობილების სხვა და სხვა ჯურის დამცველნი.

მაგრამ, ამასთანავე, თუ ერთი მხრით ადვილი გასაგებია და ბუნებრივი ისა, რომ ყველა იმათ, რომელთა ინტერესები მჭიდროთ არის შეკავშირებული არსებულ წყობილებასთან, არ შეუძლიათ სიმპატიით მოეპყრან ამ წყობილების შეურიგებელ მტრებს, მეორე მხრით სრულიად გაუგებარია და საკვირველი იმათი ქცევა, რომელთაც ასეთ მოწინააღმდეგეთა წინაშე სირაქლემასავით უჭირავთ თავი—სილაში ჩაუყვიათ ცხვირი და გონიათ მომავალ უბედურებას დავემალეთო. საკვარველია, რომ არ სურთ გაიგონ, რა უნდათ ნამდვილათ ამ „ბოროტგამზრახველთ“ და რას თხოულობენ.

რედაქტორ-გამომცემელი კ. ფ. მგელაძე.

განცხადებანი:

სახალხო სახლი.

სუთშაბათს, 22 აპრილს

ზუბალ. სახელ. სახ. სახლში

სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგ. იქნება

„უდანაშაულოთ დასჯილნი“,

დრ. 4 მოქმ., ოსტროვსკისა.

ამ წარმოდგენის ბილეთები იყიდება თეატრის კასაში, დასწყისი სადამოს 8 საათზე.

რეჟის. ვ. შათირიშვილი. ადმინისტრატ. ვასვასიშვილი.

მორიგი წევრი, შ. მაღალაშვილი

ყოველკვირეული სალიტერატურო - სამსაცვრო-სათეატრო სურათებიანი ჟურნალი, იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. გამოდის 1910 წ. 2 იანვრიდან.

წლიურ ხელის მოწერთ დაურიგდება პრემია 1—6 პიესა, ცალკე წიგნათ დაბეჭდილი.

ჟურნალის ფასი: წლიურათ 5 მან., ნახევარი წლით 3 მ., თითო ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება იოსებ იმედაშვილთან ქართ. დრამ. საზოგ. კანტორაში (ქართულ თეატრში).

ფოსტის ადრესი: Тифлис, Конт. Груз. Драмат. об-ва Іос. Зах. Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ჩვენი გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. ნახევარი წლით 7 მ., სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ. ერთი თვით 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ. ადრესი: რუსის ქუჩ., № 3, ზემო სართული. Тифлисъ, тип. „Шрома“ К. К. Цуладзе.

Тифлисъ, Тип. Т-ва „Печатное Дѣло“, Дворцовая ул. д. Гр. Дворянства.